პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

15 მაისი ხუთშაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი

№ 111 (14411)

## შევაჯამოთ და ვემზადოთ!

დღეს იწყება სასწავლო წლის შედეგების შეჯამება მილიონთა ლენინურ უნივერსიტეტში. კომუნისტები, კომკავშირელები, უპარტიო აქტივისტები თავისებური გამოცდის წინაშე არიან.

ვ. ი. ლენინი ამბობდა: „პოლიტიკური განათლების მიზანია აღზარდოს ნამდვილი კომუნისტები, რომელთაც უნარი ექნებათ დაამარცხონ ტყუილი, ცრურწმენები". და ჩვენს დროში კიდევ უფრო ნათლად ჩანს ამ ლენინური დებულების სიბრძნე. კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა შეუძლიათ იდეურ ადამიანებს, მხოლოდ ნამდვილ კომუნისტებს: ბურჟუაზიული იდეოლოგიის მონაჭორის, ყოველგვარი ცრურწმენის დამარცხება შეუძლიათ მხოლოდ ნამდვილ კომუნისტებს, რომლებიც ღრმად არიან დაუფლებული მარქსიზმ-ლენინიზმის დიად მოძღვრებას.

კომუნისტურ პარტიას თავის მოწოდებად მიაჩნია ის, რომ აღზარდოს მშრომელნი მაღალი პოლიტიკური შეგნებისა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, საბჭოთა პატრიოტიზმის, სსრ კავშირის ხალხთა ლენინური მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ორგანიზებულობისა და დისციპლინის, ყაირათიანობისა და საერთო სახალხო სიმდიდრის გადიდებისათვის ზრუნვის სულისკვეთებით.

ვ. ი. ლენინის დაბადების ასი წლისთავისათვის მზადებამ ახალი ეტაპი შექმნა ...

... მზადებას. პარტიას პროპაგანდისტი მიაჩნია თავის ოქროს ფონდად. ამიტომ ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ ამ ძვირფას ფონდს. უნდა ვიზრუნოთ ახალგაზრდა ნიჭიერი ადამიანებით პროპაგანდისტთა კადრების შემდგომი შევსებისათვის.

დიახ, შევაჯამოთ და ვემზადოთ! ეს არის ახლა უმნიშვნელოვანესი მომენტი კომუნისტების პოლიტიკურ სწავლებაში.

## ამიერკავკასიის სამეცნიერო-საკვლევ ჰიდრომეტეოროლოგიურ ინსტიტუტს

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მხურვალედ ულოცავენ ამიერკავკასიის სამეცნიერო-საკვლევი ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის მუშაკთა კოლექტივს ღირსშესანიშნავ თარიღს — თბილისის ობსერვატორიის დაარსების 125 წლისთავს, რომელიც შემდგომ ამიერკავკასიის სამეცნიერო-საკვლევ ჰიდრომეტეოროლოგიურ ინსტიტუტად გარდაიქმნა.

თავისი არსებობის წლების მანძილზე ინსტიტუტმა შეასრულა მთელი რიგი შრომები, რომლებსაც დიდი მეცნიერულ-თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის მრავალი დარგისათვის. შემუშავებულია სოფლის მეურნეობისათვის ისეთი საშიში ბუნებრივი მოვლენების პროგნოზირების მეთოდები, როგორიც არის სეტყვა, ჭექა-ქუხილი, წაყინვები, ძლიერი ქარი, ტემპერატურის მკვეთრი მერყეობა, წყალდიდობა, ღვარცოფები. ამ მეთოდებს ფართოდ იყენებენ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოთა ოპერატიული ორგანოები.

შესწავლილია ამიერკავკასიის მთის მდინარეთა წყლის რესურსები და მათი ბალანსი, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა და ჰიდროელექტროსადგურების დაპროექტების დროს.

ინსტიტუტმა დიდი როლი შეასრულა მეცნიერთა კადრების მომზადებაში, რომელთაგან მრავალი ცნობილია როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო უსურვებენ ინსტიტუტის კოლექტივს ახალ დიდ შემოქმედებით წარმატებებს მის წინაშე მდგომი ამოცანების დამუშავების და გადაჭრის საქმეში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

## თბილისის ობსერვატორიას 125 წელი შეუსრულდა

14 მაისს თბილისში ...

... გაიმართა ამიერკავკასიის სამეცნიერო-კვლევითი ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის გაფართოებული სამეცნიერო საბჭოს საზეიმო სხდომა.

პრეზიდიუმში არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი შ. ... სამსახურის მთავარი სამმართველოს უფროსი ე. ფიოდოროვი, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის პირველი მაისის რაიკომის პირველი მდივანი ბ. გრიგალაშვილი, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსი ...

... ვანმა შ. ჭანუყვაძემ წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისალმება.

შეკრებილთ მიესალმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს... თან არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარი სამმართველოს უფროსის ბრძანება, რომელიც თბილისის ობსერვატორიის 125 წლისთავს მიეძღვნა. (საქინფორმი).

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა-საქართველო:

## კონტაქტები სამთო მიწათმოქმედების დარგში

თბილისში იმყოფება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სპეციალისტთა დელეგაცია, რომელიც ჩამოვიდა სამთო მიწათმოქმედების დარგში სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის საკითხის განსახილველად. დელეგაციის შემადგენლობაში არიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე იოაკიმ ზეემანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის გენერალური დირექტორი გიუნტერ ფიშერი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ჰაინც კრაუზე, ინჟინრები აქსელ ჰაშკერი და მანფრედ შტაინჰორსტი. დელეგაციას ახლავს სრულიად საკავშირო გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" თავმჯდომარის მოადგილე ლ. კორბუტი.

აეროპორტში სტუმრებს შეხვდნენ საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. გელდიაშვილი, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" თავმჯდომარე ი. ხოხლოვი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გ. ჭირაქაძე, „საქსოფლტექნიკის" თავმჯდომარის მოადგილე დ. ხარიშვილი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი ვ. მეტრეველი, თბილისის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსი გ. გორდეზიანი.

14 მაისს დელეგაცია გაეცნო სამეცნიერო და საწარმოო მუშაობას საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში, სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში, „საქსოფლტექნიკის" დიღმის მოტორსარემონტო ქარხანაში.

(საქინფორმი).

## საუბარი გ. დ. ჯავახიშვილთან

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. ჯავახიშვილმა 14 მაისს მიიღო გერ... ... დლობა გადაიხადა იმისათვის, რომ შესაძლებლობა მიეცა დეტალურად გასცნობოდა ქართველ ...



დიდი მოთხოვნილებაა თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის პროდუქციაზე. აქ უშვებენ მაღალხარისხოვან სალარავებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სალარავების ხარისხის გაუმჯობესებას. ქარხნის გამოცდილი ოსტატები და ტექნიკური კონტროლის განყოფილების მუშაკები სისტემატურად მსჯელობენ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ.

სურათზე: (მარცხნიდან) ტექნიკური კონტროლის განყოფილების ოსტატი-კონტროლიორი მ. ლუჩნიკოვი, ცვლის ოსტატი მ. კარაპეტიანი და ამწყობი პ. ალნიაშვილი.

ფოტო ა. მეტრეველისა. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## ლენინის დაბადებიდან 100

## სატვირთო ავტომობილების ახალი ნიმუშები

ქუთაისი. (საქ. კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა კარგი შრომითი საჩუქარი მიუძღვნა პირველ მაისს — შექმნა და მოსკოვის პოლიგონზე საგამოცდოდ გაგზავნა 5,5-6 ტონის ტვირთამწეობის სატვირთო ავტომობილის ორი საცდელი ნიმუში.

ახალი ნიმუშის სატვირთო ავტომობილი შექმნილია „კაზ-608" ტიპის ავტოსაწევარის ბაზაზე. მისი კაბინა მოდერნიზებულია. შეცვლილი და გაუმჯობესებულია კაბინის წინა ნაწილის მოპირკეთება. ასევე შეიცვალა კარების კონსტრუქცია.

ახალი მანქანის კაბინაში სამი კაცი ეტევა და უფრო მოხერხებულია მძღოლის საჯდომი ადგილი.

## უპატაკებენ სამშობლოს

საქართველოს ... ხაშურის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. მაღალაშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ტ. გუჯეჯიანმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ბ. მაისაშვილმა გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას აცნობეს, რომ, მიუხედავად ქვეყნული ამინდისა, რაიონის მხვნელ-მთესველებმა უქმად წუთი არ დაკარგეს და 8 მაისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს სათაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა. დაითესა 3.236 ჰექტარი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.184 ჰექტარისა.

თესვაში განსაკუთრებით ისახელეს თავი ხცისის (თავმჯდომარე ს. გოგიბერიძე), ცოცხნარის (თავმჯდომარე ა. დვალიშვილი), სურამის (თავმჯდომარე ნ. გოგოლაძე), ოსიაურის (თავმჯდომარე გ. გელაშვილი), ზემო ქართლის (თავმჯდომარე გ. მაჭარაშვილი), წრომის (თავმჯდომარე ა. ციცქიშვილი), სათივეს (თავმჯდომარე გ. ქურდაძე) და სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა, ქვიშხეთის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ა. ელისაშვილი).

თერჯოლელებმა პირობა გაანაღდეს — აცნობებს „კომუნისტის" რედაქციას საქართველოს კპ თერჯოლის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. ყიფიანმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ლიბრაძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა კ. ვერულაშვილმა, — 6 მაისისათვის საგაზაფხულო კულტურები დაითესა 5.636 ჰექტარზე, რაც გეგმის 100 პროცენტს შეადგენს.

დაწინაურდნენ სოფლების თუზის, გოდოგნის, საზანოს, ჭოგნარის და სხვა კოლმეურნეობები, რომლებსაც თესვის გეგმა ...

## შეხიბრებაში გამარჯვებული

... ქარხნის კოლექტივმა. საქართველოს სსრ ბჭერმა საშრეწველო საწარმომ დიდი წარმატებანი მოიპოვა პირველი კვარტალის მუშაობის შედეგებით და გაიმარჯვა სრულიად საკავშირო სოცი- ... ველი ფულადი პრემიები წილად ხვდათ საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მარნეულის № 2 მოძრავი მექანიზებული კოლონისა და თერჯოლის საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციის კოლექტივებს. (საქინფორმი).

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის და ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის უ. კ. კეკონენის მომავალი შეხვედრის გამო

შეთანხმების შესაბამისად მიმდინარე წლის 19 მაისს ლენინგრადში გაიმართება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინისა და ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის უ. კ. კეკონენის არაოფიციალური შეხვედრა.

## გამოფენა „ავტომატიზაცია-69"

13 მაისს მოსკოვში სსრ კავშირის დიდ თეატრში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა საერთა- ... საბჭოთა მთავრობის სახელით დამსწრეთ მიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოა- ...

## უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტი

18 მაისს მოსკოვში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში დამთავრდა სამეცნიერო ... მნიშვნელობის დოკუმენტი, უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი აქტი თანამედროვე ეტაპზე საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში.

... ლო-სამეურნეო არტელის) ახალი სანიმუშო წესდების პროექტის განხილვას. განხილვაში მონაწილეობდა 40-მდე კაცი. მათ ხაზი გაუსვეს, რომ წესდების პროექტი არის უდიდესი პოლიტიკური ... შენიშვნებს, წინადადებებს განაზოგადებენ და წარუდგენენ კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების შემმუშავებელ და კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის მოსამზადებელ კომისიას. (საქინფორმი).




## მეგობართა გულთბილი შეხვედრები

ლვოვი, 14 მაისი. (რატაუ). გულთბილად შეხვდნენ დღეს ლვოვის მცხოვრებნი უკრაინაში ქართული ლიტერატურის დეკადის მონაწილეებს. აქ მოვიდნენ მოძმე რესპუბლიკის ცნობილი პოეტები, პროზაიკოსები და დრამატურგები — ზ. ქლენტი, მ. ბარა- ... დიდების ბორცვზე დეკადის მონაწილეებმა ყვავილებით შეამკეს ლვოვის განმათავისუფლებელი მეომრების ძმათა სასაფლაო.

მზიური საქართველოს წარმომადგენლები მიიღო უკრაინის კომპარტიის ლვოვის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ... ში, ნ. მიქავა და გ. მარგველაშვილი.

სტუმრებმა დაათვალიერეს ლვოვი, გაეცნენ მის ისტორიულ და არქიტექტურულ ძეგლებს, იყვნენ ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის ლვოვის ფილიალში, ყვავილებით შეამკეს რევოლუციის ბელადის ძეგლი.

გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა ქართველ მწერალთა შეხვედრამ ივანე ფრანკოს სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებთან, მასწავლებლებთან და მეცნიერებთან.

მოძმე რესპუბლიკიდან ჩამოსული სტუმრები ლვოვის ოლქში სამ დღეს დარჩებიან.

## ნ. ვ. პოდგორნი კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ფხენიანი, 14 მაისი. (საქინფორმი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარის ცოი ენ გენის მოწვევით დღეს კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი.

• • •

ფხენიანი, 14 მაისი. საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტები მ. იაკოვლევი და ბ. პულაევსკი გვატყობინებენ:

დღეს ფხენიანში ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი. იგი ოფიციალური მეგობრული ვიზიტით იმყოფება კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარის ცოი ენ გენის მოწვევით. აეროდრომზე საპატიო საბჭოთა სტუმრის შესახვედრად მოვიდნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ცოი ენ გენი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო და პარტიული მო- ...

## ჩვენი დიდი სამშობლო

# პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის დამთავრების შესახებ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ განათლების სისტემაში სასწავლო წლის და- [illegible]

კითხვა. როგორია პარტიული განათლების სისტემაში წლევანდელი სასწავლო წლის თავისებურებანი?

პასუხი. წლევანდელი სასწავლო წელი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის პარტიის, სახელმწიფოს, მთელი საბჭოთა ხალხის აქტიური მზადების ვითარებაში მიმდინარეობს და მას ახასიათებს მშრომელთა გაზრდილი ინტერესი ვლადიმერ ილიას-ძის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი, საბჭოთა ადამიანების ფართო წრის, პირველ რიგში კომუნისტების, კომკავშირელების, უპარტიო აქტივის ჩაბმა ლენინის თეორიული მემკვიდრეობის შესწავლაში. საბჭოთა ადამიანები, ემზადებიან რა იმისათვის, რომ ღირსშესანიშნავი თარიღი აღნიშნონ ახალი წარმატებებით კომუნისტური მშენებლობის გეგმების განხორციელებაში, მიმართავენ ლენინიზმის საგანძურს, რათა უკეთ გაიაზრონ მოვლენები, რაც ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ ხდება, ერთხელ კიდევ შეაჯერონ თავიანთი საქმიანობა ლენინის ანდერძთან.

პარტიული კომიტეტები და პროპაგანდისტები ესწრაფვიან იმას, რომ კომუნისტებმა პარტიული განათლების სისტემის ყველა რგოლში — დაწყებითსა, საშუალოსა და უმაღლესში — ღრმად შეისწავლონ ლენინის შრომების გარკვეული მინიმუმი არსებული პროგრამების ჩარჩოებში, კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე პრობლემებთან მჭიდრო კავშირში.

პოლიტიკური განათლების სახლებმა და კაბინეტებმა შეადგინეს სარეკომენდაციო სიები ლენინის ნაწარმოებებისა, რომლებიც ყველაზე უფრო ხელმისაწვდომია დამოუკიდებელი შესწავლისათვის დაწყებით პოლიტსკოლებში, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლებში. მთავარი ამოცანა ის არის, რომ ამხანაგებმა მიიღონ ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებზე დამოუკიდებლად მუშაობის მტკიცე ჩვევები და მათზე დაყრდნობით შეძლონ დაეუფლონ პარტიის ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიის, ფილოსოფიის, სკკპ პოლიტიკის ღრმა ცოდნას. ბევრი პროპაგანდისტი თავის მსმენელებს ასწავლის ლენინის შრომების კონსპექტების შედგენას, ეხმარება პოლიტიკური თვითგანათლების ჩვევების დაუფლებაში.

დიდი ყურადღება ექცევა ლენინის იდეური მემკვიდრეობის შესწავლას უმაღლეს რგოლში — მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტებში, პარტიული აქტივის სკოლებში, თეორიულ, საპრობლემო და მეთოდოლოგიურ სემინარებში. მიმდინარე სასწავლო წელს განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ვ. ი. ლენინის ნაწარმოებების „მემარცხენეობის“ საყმაწვილო სენი კომუნიზმში“, „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“, „სახელმწიფო და რევოლუცია“, „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“ შემსწავლელი სემინარები, აგრეთვე სემინარები ისეთ აქტუალურ პრობლემებზე, როგორიც არის „ვ. ი. ლენინი სოციალისტური და ბურჟუაზიული იდეოლოგიის შეურიგებლობის შესახებ“. „საზოგადოებისა და წარმოების მეცნიერული ხელმძღვანელობის პრობლემათა დამუშავება ვ. ი. ლენინის მიერ“, „პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმები სკკპ საქმიანობაში“, „სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია და თანამედროვეობა“ და სხვ.

კომუნისტების დასახმარებლად, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, იკითხება ლექციების ციკლები, იმართება თეორიული და მეცნიერულ-პრაქტიკული კონფერენციები, ტარდება კონსულტაციები.

პარტიული კომიტეტები მიმდინარე სასწავლო წელს მეტ ყურადღებას უთმობენ პროპაგანდისტებთან მუშაობას, მართავენ მეთოდურ კონფერენციებს ლენინური თეორიული მემკვიდრეობის შესასწავლად, მასებში პროპაგანდის ლენინური ხელოვნების დასაუფლებლად.

უეჭველია, ეს სასწავლო წელი დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი იქნება პროპაგანდისტული მუშაობის შემდგომ სრულყოფაში, კომუნისტების პოლიტიკურ აღზრდაში, მათი შრომითი აქტივობის გაძლიერებაში.

კითხვა: უწინარეს ყოვლისა რას უნდა მიაპყროს პარტიული ორგანიზაციების ყურადღება სასწავლო წლის შედეგების შეჯამებისას?

პასუხი. სწავლების შედეგების შეჯამება კარგ ტრადიციად იქცა პარტიულ ორგანიზაციებში. შემაჯამებელი მეცადინეობის მთავარი მიზანია განამტკიცოს შესწავლილი მასალა, დაეხმაროს პარტიული განათლების სისტემის მსმენელებს უფრო ღრმად გაიაზრონ უმნიშვნელოვანესი ლენინური იდეები, მიხვდნენ მათს მნიშვნელობას ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკისათვის, თანამედროვე რევოლუციური პროცესის განვითარებისათვის, ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან, კომუნისტურ და მუშათა მოძრაობაში ოპორტუნიზმთან ბრძოლისათვის.

ამასთან ერთად შემაჯამებელი მეცადინეობა კომუნისტთა პოლიტიკური სწავლებისადმი, მათ მიერ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუცხრომლად დაუფლების შესახებ სკკპ წესდების მოთხოვნის შესრულებისადმი კონტროლის თავისებური ფორმაა. ახლა ამოცანა ის არის, რომ კარგად მოვემზადოთ და ორგანიზებულად დავამთავროთ სასწავლო წელი.

ამისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა გავერკვეთ თვითეულ სკოლაში, თვითეულ თეორიულ სემინარში სასწავლო გეგმების შესრულებაში, მივიღოთ ისეთი ზომები, რომლებიც ხელს შეუწყობს თვითეული საგნის პროგრამის, თვითეული შესასწავლი პრობლემის ღრმად შესწავლას. ჩვენი აზრით, მხარდაჭერის ღირსია მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციების პრაქტიკა, როცა ლენინის ნაწარმოებთა შემსწავლელი კომუნისტების დასახმარებლად დამატებით ეწყობა ლექციები, ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები.

მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლა კომუნისტური მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის თანამედროვე პრობლემებთან მჭიდრო კავშირში ყველაზე დიდმნიშვნელოვანია, ყველაზე მთავარია პარტიულ სწავლებაში. საუკეთესო პროპაგანდისტების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პოლიტიკური სწავლებისადმი მსმენელთა ინტერესი მაშინ არის ხოლმე მაღალი, როცა მეცადინეობისას მარქსიზმ-ლენინიზმის უმნიშვნელოვანეს დებულებათა საფუძველზე ხდება ცხოვრების, რევოლუციური პრაქტიკის ღრმად გააზრება, როცა თეორია, წარსულის გამოცდილება უფრო სრულად ეხმარება თანამედროვეობის პრობლემების შემოქმედებითად დაყენებასა და გადაჭრას.

კითხვა. ყველაზე უფრო მიზანშეწონილად რა ფორმით უნდა ტარდებოდეს შემაჯამებელი მეცადინეობა?

პასუხი. შემაჯამებელი მეცადინეობის ჩატარების ფორმები სხვადასხვანაირია. ეს არის ჯგუფური და ინდივიდუალური გასაუბრება შესწავლილი მასალის საკვანძო პრობლემებზე, ჩათვლები და გამოცდები, რეფერატების მომზადება და განხილვა, თეორიული კონფერენციები. მიზანშეწონილია მიმდინარე წელსაც გამოვიყენოთ ეს ფორმები, რომლებმაც თავისი დანიშნულება გაამართლა. მხოლოდ საჭიროა ამ საქმეს შემოქმედებითად მივუდგეთ, მოვეთათბიროთ მსმენელებს, მხედველობაში მივიღოთ, როგორია მათი თეორიული მომზადების დონე, რამდენად შეთვისებული აქვთ მათ შესწავლილი მასალა.

პარტიული განათლების თვითეულ რგოლში შემაჯამებელ მეცადინეობას, ბუნებრივია, საკუთარი თავისებურებანი ექნება.

დაწყებით პოლიტსკოლებში ვ. ი. ლენინის ბიოგრაფიის შემსწავლელთათვის მიზანშეწონილია მოეწყოს გასაუბრება შემდეგ თემებზე (ამორჩევით): „ლენინი — ბელადი, ამხანაგი, ადამიანი“, „ვიცხოვროთ და ვიმუშაოთ ლენინურად“. პოლიტიკური ცოდნის საფუძვლების შემსწავლელთათვის — „კომუნიზმი ჩვენი ეპოქის დროშაა“, „კომუნიზმის დიადი იდეების ზეიმი“.

იმათ, ვინც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებს სწავლობს, შეიძლება ვურჩიოთ განიხილონ შემდეგი თემებიდან ერთ-ერთი: „კომუნისტურ მშენებლობაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის შემდგომი ზრდის შესახებ“, „სკკპ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ლენინური პრინციპები“, „ვ. ი. ლენინი შრომის ნაყოფიერების გადიდების მნიშვნელობისა და გზების შესახებ“, „ვ. ი. ლენინი შრომის დისციპლინის შესახებ“, „ვ. ი. ლენინი შრომისა და სოციალისტური საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების შესახებ“.

მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლებში შემაჯამებელი მეცადინეობა ეწყობა კურსის (სკკპ ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიის, ფილოსოფიის კურსის) ყველაზე აქტუალურ პრობლემებზე. მიზანშეწონილია აქ მთავარი ყურადღება მიექცეს თეორიული პრობლემების ღრმად განხილვას ცხოვრებასთან, პარტიის პოლიტიკასთან მჭიდრო კავშირში. იმ ამხანაგებთან, რომლებიც მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლებს ამთავრებენ, სასურველია მოეწყოს თეორიული კონფერენციები მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების, რევოლუციური თეორიის შემდგომი დამუშავებისათვის პარტიის საქმიანობის, ლენინის ანდერძის განხორციელების საკითხებზე.

დიდი მუშაობა უნდა ჩატარდეს სასწავლო წლის დასამთავრებლად პარტიული განათლების უმაღლეს ფორმებში. მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტებსა და პარტიული აქტივის სკოლებში სასწავლო გეგმების შესაბამისად, ისევე როგორც წარსულ წლებში, ეწყობა გამოცდები და ჩათვლები. გამოცდილება აგრეთვე ადასტურებს, რომ მიზანშეწონილია აქ გამოცდებთან და ჩათვლებთან ერთად ეწყობოდეს თეორიული და სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციები, მზადდებოდეს რეფერატები, სადიპლომო და საკურსო სამუშაოები. მსმენელებმა უნდა აჩვენონ სასწავლო პროგრამაში გათვალისწინებული კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ვ. ი. ლენინის ნაწარმოებების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის დოკუმენტებისა და მასალების ღრმა ცოდნა.

პარტიული და სამეურნეო აქტივის, ინტელიგენციის იდეური წრთობის დიდმნიშვნელოვანი საშუალება გახდა თეორიული, საპრობლემო და მეთოდოლოგიური სემინარები. სამეცნიერო-პრაქტიკული და თეორიული კონფერენციები და გასაუბრებანი მათი სწავლების შედეგების შეჯამების ყველაზე ქმედითი ფორმაა. პარტიული კომიტეტების პოლიტიკური განათლების ბევრმა სახლმა და კაბინეტმა უკვე განსაზღვრა ასეთი კონფერენციების თემატიკა და დაიწყო მათთვის მზადება. მაგალითად, სკკპ მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების სახლი თეორიული კონფერენციების ჩასატარებლად რეკომენდაციას აძლევს 16 თემას, მათ შორის ისეთებს, როგორიც არის:

ვ. ი. ლენინი სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის შესახებ.

სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია და თანამედროვეობა.

ლენინური მოძღვრება იმპერიალიზმზე და თანამედროვე კაპიტალიზმი.

ეკონომიური რეფორმა სსრ კავშირში მეურნეობის სოციალისტური გაძღოლის ლენინური პრინციპების განხორციელება.

ვ. ი. ლენინი კომუნისტური იდეოლოგიისა და ბურჟუაზიული იდეოლოგიის შეურიგებლობის შესახებ.

კონფერენციები და გასაუბრებანი ხელს უნდა უწყობდნენ სემინარების მუშაობაში შემოქმედებითი მეთოდის შემდგომ განვითარებას, მათი მსმენელების მიერ ლენინური თეორიული მემკვიდრეობის ღრმად შესწავლას, მიღებული ცოდნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და საწარმოო საქმიანობაში უნარიანად გამოყენებას.

განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ დამოუკიდებლად, ინდივიდუალური გეგმებით მომუშავე კომუნისტები. ამ ამხანაგებსაც შეუძლიათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ თეორიულ კონფერენციებში, გამოვიდნენ იქ მოხსენებებით ან რეფერატებით.

პარტიული კომიტეტები, პოლიტიკური განათლების სახლები და კაბინეტები ეწევიან აქტიურ მზადებას სასწავლო წლის ორგანიზებულად დამთავრებისათვის. ამ მიზნით აწყობენ პროპაგანდისტთა სემინარებსა და თათბირებს, წინასწარ ამზადებენ მასალებს შემაჯამებელი მეცადინეობისათვის: სანიმუშო თემებს, გასაუბრებათა და თეორიულ კონფერენციათა გეგმებს, კითხვებს ჩათვლებისათვის, შეარჩევენ ლიტერატურას, თვალსაჩინო ხელსაწყოებს, განაზოგადებენ საუკეთესო პროპაგანდისტთა გამოცდილებას.

პარტიულმა ორგანიზაციებმა იმისთვისაც უნდა იზრუნონ, რომ წარმატებით დამთავრდეს სასწავლო წელი კომკავშირულ პოლიტიკურ განათლებაში. დასკვნითი მეცადინეობა ბევრ კომკავშირულ ორგანიზაციაში ნავარაუდევია ჩატარდეს „ლენინური გაკვეთილების“, ლენინის ნაწარმოებებზე თეორიული კონფერენციების სახით, რომლებზეც მოწვეულ იქნებიან პარტიის ვეტერანები, უფროსი ამხანაგები — კომუნისტები, წარმოების საუკეთესო მუშაკები, მეცნიერები, ხელოვნების მოღვაწენი. შემაჯამებელ მეცადინეობაზე სასურველია დაისახოს მსმენელების მიერ ლენინური თეორიული მემკვიდრეობის შემდგომი შესწავლის პერსპექტივები.

პარტიული განათლების სისტემაში მეცადინეობა მთავრდება, როგორც ჩვეულებრივ, ივნისში. მაგრამ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო კომიტეტებს შეუძლიათ, ადგილობრივი პირობების მიხედვით, თვითონ განსაზღვრონ სწავლების დამთავრების ვადები.

შემაჯამებელი მეცადინეობა პარტიული სწავლების ყველა ფორმაში უნდა ჩატარდეს მაღალი მომთხოვნელობის ვითარებაში. ბუნებრივია, რომ ხელმძღვანელი კადრები მოწოდებული არიან უჩვენებდნენ რევოლუციური მეცნიერების, ლენინური თეორიული მემკვიდრეობის ღრმად დაუფლების მაგალითს, უნარიანად, შემოქმედებითად იყენებდნენ მიღებულ ცოდნას თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში.

მეცადინეობის ორგანიზებულად დამთავრებას დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიული განათლების სისტემის შემდგომი სრულყოფისათვის. ახლანდელმა სასწავლო წელმა საკმაოდ ბევრი რამ ახალი შეიტანა ლენინური იდეური მემკვიდრეობის პროპაგანდაში. საჭიროა ღრმა ანალიზი გავუკეთოთ პოლიტიკური სწავლების შედეგებს და გამოვიტანოთ საჭირო დასკვნები ამ შედეგების მიხედვით. სკოლების, სემინარებისა და პარტიული სწავლების სხვა ფორმების მუშაობის დადებითი გამოცდილება ფართო პროპაგანდას უნდა ვუწევდეთ და ვავრცელებდეთ. ამ მიზნით უფრო ფართოდ უნდა გამოვიყენოთ პრესა, რადიო, ტელევიზია.

როგორც წარსულ წლებში, პარტიული კომიტეტები შეაჯამებენ სწავლების შედეგებს კრებებზე, აქტივებზე, პლენუმებზე, თათბირებზე, პროპაგანდისტთა შეკრებებზე.

მოწონების ღირსია ინიციატივა მთელი რიგი საოლქო კომიტეტებისა, რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტებისა, რომლებიც იჩენენ ზრუნვას საუკეთესო პროპაგანდისტების წახალისებისათვის.

კითხვა. რა პრობლემები ისახება პარტიული ორგანიზაციების წინაშე პარტიული განათლების სისტემის შემდგომი სრულყოფისათვის?

პასუხი. მთავრდება პარტიული განათლების სისტემის ახალ პირობებში მუშაობის მეოთხე წელი. ამ ხნის განმავლობაში, როგორც უკვე აღინიშნა, ბევრი რამ გაკეთდა, მოხდა პარტიის წევრთა და კანდიდატთა, უპარტიო აქტივის იდეურ-თეორიული მომზადების დონის საერთო ამაღლება. ამასთან ერთად, როგორც გამოცდილება მოწმობს, ამჟამად მოქმედი პროგრამები და სასწავლო დამხმარე სახელმძღვანელოები პარტიული განათლების სისტემისათვის შემდგომ სრულყოფას საჭიროებენ. ეს ეხება დასაწყის რგოლს და რამდენადმე საშუალო რგოლსაც. ამ მხრივ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილებაში გარკვეული მუშაობა წარმოებს.

როგორც თავის დროზე ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, არავითარ კონტროლს, არავითარ პროგრამებს და ა. შ. აბსოლუტურად არ ძალუძს შეცვალოს მეცადინეობის ის მიმართულება, რომელსაც ლექტორთა შემადგენლობა განსაზღვრავს. პროპაგანდისტთა კადრების შერჩევისა და აღზრდის გაუმჯობესებისათვის ბევრი რამ შეუძლიათ გააკეთონ და კიდევაც უნდა გააკეთონ პარტიულმა კომიტეტებმა. კომუნისტთა პოლიტიკური სწავლების იდეურ-თეორიული დონე, მისი ეფექტურობა დამოკიდებულია უწინარეს ყოვლისა იმაზე, თუ როგორ მუშაობენ ამ საკითხებზე პარტიული კომიტეტები.

უკანასკნელ წლებში შეძენილია პოლიტიკური განათლების საქმისადმი ხელმძღვანელობის საკმაოდ დიდი გამოცდილება. ბიუროების სხდომებზე, პლენუმებზე, აქტივებზე ახლა უფრო ხშირად და საფუძვლიანად განიხილავენ კომუნისტთა პოლიტიკური განათლების საკითხებს. მაგალითად, უზბეკეთის კპ ტაშკენტის, ფერგანის საოლქო კომიტეტების, სკკპ კალინინის, სარატოვის, კალუგის, სვერდლოვსკის, მარების საოლქო კომიტეტების, პარტიის კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტის ბიუროებმა განიხილეს საკითხები ლენინური თეორიული მემკვიდრეობის პროპაგანდის შესახებ.

ამ მხრივ მოწონებისა და გავრცელების ღირსია ის პრაქტიკა, რომ მოსკოვში, ლენინგრადში, ვლადიმირის, კალინინისა და სხვა ოლქებში ეწყობა პარტიული კრებები, რომლებზეც განიხილავენ მარქსისტულ-ლენინური თეორიის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, მათს როლსა და მნიშვნელობას კომუნისტების პრაქტიკული მოღვაწეობისათვის. ვლადიმირის ოლქში კოვროვის, გუს-ხრუსტალნის, მურომის, ალექსანდროვისა და სხვა ქალაქებისა და რაიონების პარტიულ ორგანიზაციებში ეწყობა პარტიული კრებები შემდეგი დღის წესრიგით: ვ. ი. ლენინი სოციალისტური შეჯიბრების და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების შესახებ; ვ. ი. ლენინი მუშათა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების საჭიროების შესახებ და პარტიული ორგანიზაციების ამოცანები; პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმები და კომუნისტების მიერ სკკპ წესდების მოთხოვნათა შესრულება.

პარტიული კრებების ჩატარებას, რომლებზეც განიხილავენ თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს, კომუნისტები კარგად ხვდებიან და ეს ხელს უწყობს პოლიტიკური სწავლებისათვის მათი პასუხისმგებლობის ზრდას, ამდიდრებს პარტიული ორგანიზაციების იდეურ ცხოვრებას, ამაღლებს კრებების, როგორც მშრომელთა პოლიტიკური, იდეური აღზრდის სკოლის როლს.

საჭიროა კვლავაც დიდ ყურადღებას ვუთმობდეთ კომუნისტებისა და უპარტიო აქტივის მიერ მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმად შესწავლას. ეს ხელს შეუწყობს წარმატებით ბრძოლას კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკული ამოცანების შესრულებისათვის.

(ჟურნალი „პოლიტიჩესკოე სამოობრაზოვანიე“, № 4, 1969 წ.)



# ღრუბლებს განაგებდეს ადამიანი!

## ღრუბელთა ფიზიკისა და ღრუბლებზე აქტიური ზემოქმედების პრობლემებს განიხილავს მეცნიერთა VIII სრულიად საკავშირო კონფერენცია

ბუნების უკუღმართ სტიქიათა შორის ერთ-ერთი ყველაზე ავია სეტყვა.

დღეს ყველა ქვეყნის ხალხების წინაშე დგას ამოცანად სეტყვასთან ბრძოლა, ღრუბლებზე აქტიური ზემოქმედების მოხდენა, სტიქიის დამორჩილება.

ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ის დიდი ინტერესი, რასაც მეცნიერული საზოგადოებრიობა იჩენს თბილისში მიმდინარე VIII სრულიად-საკავშირო კონფერენციისადმი, რომელზეც ღრუბელთა ფიზიკასა და ღრუბლებზე აქტიური ზემოქმედების პრობლემებს განიხილავენ.

ამ კონფერენციაზე, გარდა იმისა, რომ მას მონაწილეთა სახით ესწრებიან საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა შესაბამისი სამეცნიერო ცენტრის წარმომადგენლები, სტუმრად არიან აგრეთვე მეცნიერები და სპეციალისტები მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან. კერძოდ, აქ არიან ბულგარეთის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკებიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკიდან, კუბის რესპუბლიკიდან, იტალიიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, საფრანგეთიდან და იაპონიიდან ჩამოსული მეცნიერები.

კონფერენცია გახსნა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა ვ. ლომინაძემ. კონფერენციისადმი დიდი ინტერესი გამოთქვა და მის მონაწილეებს ნაყოფიერი მუშაობა უსურვა თავის მისასალმებელ სიტყვაში მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის წარმომადგენელმა ბარლ ვალემა.

გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტმა ჩაიწერა კონფერენციის ზოგიერთი მონაწილისა და სტუმრის გამოსვლა.

სიტყვას ვაძლევთ მათ:

აკადემიკოსი
**ნ. მუსხელიშვილი,**
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი

— წილად მხვდა პატივი მივესალმებოდი VIII საკავშირო კონფერენციას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის და რესპუბლიკის ყველა მეცნიერის სახელით. შემთხვევითი არ არის ამ დიდმნიშვნელოვანი კონფერენციის მოწვევა საქართველოში, თბილისში. პარტიისა და მთავრობის დიდი მხარდაჭერით და დახმარებით ქართველი მეცნიერები თვალსაჩინო მუშაობას ეწევიან სეტყვის საწინააღმდეგო საშუალებათა ძიებისა და მოპოვებულ შედეგთა დანერგვის საქმეში, აკადემიის მეცნიერთა მიერ შესრულებულია მთელი რიგი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, რომელთა შედეგები ფართო გამოყენებას პოულობენ სოფლის მეურნეობაში.

სეტყვის საწინააღმდეგო და ღრუბლებზე ზემოქმედების მეცნიერულ საშუალებათა ძიების დარგში ფრიად ნაყოფიერ შრომას ეწევა ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კოლექტივი. სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ ეს ინსტიტუტი შეიქმნა იმ სახელგანთქმული თბილისის ობსერვატორიის ბაზაზე, რომლის 125 წლისთავის აღნიშვნა თქვენთან ერთად მოგვიწევს ამ კონფერენციის მუშაობის პერიოდში. ეს მეტყველებს ქართველ მეცნიერთა დიდ გამოცდილებაზე და ინსტიტუტის საგულისხმო მეცნიერულ წარსულზე.

აკადემიკოსი
**ე. ფედოროვი,**
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარი სამმართველოს უფროსი, საბჭოთა კავშირის გმირი

— სანამ მე გამოვიდოდი, ჩვენს კონფერენციას მიესალმა თქვენი დედაქალაქის ნორჩ პიონერთა დელეგაცია. დაე თქვენი მონა-მორჩილი იყოს ბუნება! — გვითხრეს ნორჩმა ლენინელებმა. ჩვენ ღრმად უნდა დავფიქრდეთ ამ სიტყვებზე. ადამიანისადმი ბუნების მოვლენების დამორჩილების დარგში ჩვენ მათ მემკვიდრეობად უნდა დავუტოვოთ უფრო დიდმნიშვნელოვანი გამოკვლევები და შედეგები, ვიდრე დღემდე გვაქვს. საბჭოთა ჰიდრომეტეოროლოგიურმა მეცნიერებამ დიდად წინ წასწია ღრუბლების ფიზიკის, ღრუბლებზე აქტიური ზემოქმედების მეცნიერულ და ტექნიკურ საშუალებათა შექმნის საქმე, მაგრამ ჯერჯერობით მაინც ბევრი არა გვაქვს რა სატრაბახო. პრობლემების მნიშვნელობა დიდია. ეს ასახულია იმ დიდად საინტერესო მოხსენებებში, რომელთა ნაწილი აქ მოვისმინეთ და რომლებსაც მოვისმენთ.

სეტყვის საწინააღმდეგო საშუალებათა და მეცნიერულ მეთოდთა პრობლემებზე მუშაობის ჰორიზონტი უფრო ფართოდ იშლება. და ამ ლაშქრობაში ეჭვი არ არის, ადამიანი უნდა გამოვიდეს გამარჯვებული.

**ვ. ლომინაძე,**
ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი

— იმ ახალი, დიდებული შენობის ახლოს, სადაც ახლა ჩვენი კონფერენცია მიმდინარეობს, არის ერთი ძველი არქიტექტურული ნაგებობა, ასოცდახუთი წელია მასში ჩქეფს მეცნიერული შრომა. ეს გახლავთ ყოფილი თბილისის ობსერვატორია, რომლის მემკვიდრეც ჩვენი ინსტიტუტია. აბა, წარმოიდგინეთ, რაოდენ ისტორიული, რაოდენ მდიდარია თავისი გამოცდილებით ეს უძველესი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება, რომლის მუშაობის მთავარ მიმართულებას შეადგენდა და შეადგენს — ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახური, დღეს კი ფართო ჰორიზონტით გაშლილი კვლევა სეტყვის წინააღმდეგ ბრძოლისა და ღრუბლებზე აქტიური ზემოქმედების საშუალებათა დასადგენად და პრაქტიკაში გამოსაყენებლად.

საქართველოში საუკუნეებით იზომება ისტორია ბუნების იმ მოვლენებზე დაკვირვებისა, რომლებიც ზიანს აყენებენ ადამიანის სიცოცხლესა და სოფლის მეურნეობას. ამ ტრადიციას შემოქმედებითი აღმავლობით აგრძელებს ჩვენი ინსტიტუტის კოლექტივი.

მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემა მუშავდება ინსტიტუტში.

**ე. მესაროში,**
(უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მეტეოროლოგიური სამსახური)

— ა. მესაროშთან ერთად წარდგენილი მაქვს მოხსენება „კონდენსაციის აქტიური ბირთვების თვისებათა შესახებ“. განზომილ იქნა დიდ და გიგანტურ აეროზოლურ ნაწილაკთა კონცენტრაცია და ოდენობის მიხედვით განაწილება ქულა ღრუბლების წარმოქმნის დონეზე. როცა მიღებული მონაცემები შედარდა ახლახან წარმოქმნილი ღრუბლების ქვედა ფენის ღრუბლის წვეთების კონცენტრაციასთან, აღმოჩნდა, რომ დიდ და გიგანტურ ნაწილაკთა კონცენტრაცია შეადგენს ღრუბლის წვეთების კონცენტრაციის საშუალოდ მხოლოდ 20 პროცენტს. ეს იმას მეტყველებს, რომ აქტიურ ბირთვთა უმრავლესობა წარმოადგენს აიტკენის ბირთვებს.

თერმოდინამიკური განხვარიშებანი გვიჩვენებენ, რომ ღრუბლის ბირთვების აქტიურობა მნიშვნელოვანწილად მატულობს, თუ განზავებული ნივთიერებანი, განუხსნელ ნაწილაკებთან რომ ახდენენ კოაგულირებას, ქმნიან შერეულ ბირთვებს. ასეთი ბირთვების აქტიურობა (ამონიუმის სულფატის მოცემული რაოდენობისას) დამოკიდებულია განუხსნელი ბირთვის სიდიდესა და ზედაპირულ თვისებებზე.

* * *

მრავალი საინტერესო და დიდმნიშვნელოვანი პრობლემა განიხილება ამ კონფერენციაზე. აქ ნათლად იყო წარმოდგენილი, თუ რაოდენ დიდი მუშაობა ხორციელდება საბჭოთა კავშირში ღრუბლებზე აქტიური ზემოქმედების მოსახდენად, თუ რა ქმედითი ღონისძიებებია შემუშავებული იმისათვის, რომ „ავდრის“ ღრუბლები გადააქციონ „მშვიდობიან“, უხვი ნალექის შემცველ ღრუბლებად.

ისეთ მრისხანე სტიქიურ მოვლენებთან ბრძოლაში, როგორიც სეტყვაა, ჩვენში იყენებენ ყველაზე სრულყოფილ ტექნიკას — რადიოლოკაციურ სადგურებს და სპეციალურ რაკეტებს.

ჩვენში სეტყვისაგან უკვე დაცულია ასეულ ათასობით ჰექტარი ნათესი, ვენახი და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები. კონფერენციაზე ლაპარაკი იყო იმაზე, რომ საბჭოთა კავშირში დიდი აღიარება ჰპოვა ქართველ მეცნიერთა წვლილმა სეტყვასთან ბრძოლის ღონისძიებათა შემუშავება-დანერგვაში.

VIII სრულიად საკავშირო კონფერენციის შედეგები — ეს არის ადამიანთა ახალი ლაშქრობა სეტყვის წინააღმდეგ.

* * *

სურათზე: კონფერენციის მონაწილეთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან) მ. ბაუერი (გდრ), ე. მესაროში (უნგრეთი), ო. ვიტორი (იტალია), კ. ვალენი (შვეცია), ვ. ლომინაძე (თბილისი), ე. ფედოროვი (მოსკოვი), კ. პაპინაშვილი (თბილისი), ჯ. სიმპსონი (აშშ), ე. როზინი (იტალია), ნ. იანო (იაპონია), პ. ლებერი (საფრანგეთი), ე. ადერლი (ავსტრალია).

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

---

**დღეს ენგურჰესის მშენებლობაზე**



# სანამ დიდი კაშხალი აიგებოდეს

ᲔᲜᲒᲣᲠᲰᲔᲡᲘ კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის ერთ-ერთი დიდი ობიექტია ჩვენს რესპუბლიკაში. დღეს მის მშენებლობაზე კაშხალმშენის, გვირაბმშენის, ძალოვანი კვანძის, ვარდნილი ჰესის მექანიზებულ სამუშაოთა საგზაო მშენებლობის სამმართველოებს გარდა 26 სხვადასხვა სამმართველო მუშაობს, რომელთა რიგებშია 11 ათასამდე კაცი.

ენგურჰესის მშენებლები აქტიურად ჩაებნენ დიდი ბელადის — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებულ საყოველთაო სოციალისტურ შეჯიბრებაში. მათ გადაწყვიტეს წელს შეასრულონ 47 მილიონ 451 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

ცხარე დღეებია მშენებლობებზე. ჯვარში თუ საბერიოში, ერისწყალსა თუ რეჩხში, ტებეწაში თუ ჟუდავაში ალიონიდან გვიან ღამემდე არ წყდება მუშაობა. პირველ კვარტალში შესრულდა 9 მილიონ 12 ათასი მანეთის სამუშაო. პირველი კვარტალის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს კაშხალმშენის, ძალოვანი კვანძის, გვირაბმშენის, სამოქალაქო მშენებლობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოებმა.

...კაშხალმშენის სამმართველო. აქ აღიმართება კაშხალი, რომლის სიმაღლე 271,5 მეტრი იქნება, მის აგებას დასჭირდება ოთხი მილიონი კუბური მეტრი ბეტონი. კაშხალის ქვაბულის მარტო ნაპრალების ამოვსებას 200 კუბური მეტრი ბეტონი მოუნდება. მშენებლობა თავისი ცემენტაციისა და სადრენაჟო გვირაბებით 150 მილიონი მანეთი დაჯდება. კაშხალი გააჩენს ხელოვნურ ზღვას, რომელშიც იქნება დაახლოებით ერთი მილიარდი კუბური მეტრი წყალი.

ჯვარს ზემოთ ახლა სწრაფი ტემპით იგება უდიდესი, უწყვეტი მოქმედების ბეტონის ქარხანა. მის სიდიდეზე წარმოდგენას შეგვიქმნის ერთი ციფრი: საათში მან უნდა მოგვცეს 300 კუბური მეტრი საუკეთესო ხარისხის ბეტონი. აქვე გაჰყავთ საბაგირო გზა. მიმდინარეობს კაბელ-ამწევების მონტაჟი. ოთხი ხაზიდან ერთი მზად იქნება მიმდინარე წლის მეორე კვარტალის ბოლოს.

ბეტონის ჩასხმა კაშხალის სხეულში წელსვე, მეოთხე კვარტალში დაიწყება. მიმდინარე წლის [illegible]

აქვე უნდა შევნიშნოთ: კაშხალის მშენებლებმა საერთოდ რამდენადმე დააგვიანეს გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულება. ამ უნიკალური ნაგებობების ასაშენებლად ადგილი სამ წელზე მეტი ხნის წინათ განთავისუფლდა (ენგური გადაიხიდა 1966 წლის 25 იანვარს), მშენებლობას ხან პროექტის უქონლობა აფერხებდა, ხანაც — სამშენებლო მასალის ნაკლებობა. წელს ჯერჯერობით საქმეს კარგი პირი უჩანს.

ბევრი მოწინავეა კაშხალის მშენებლობაზე, მაგრამ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ქვაბულზე მომუშავე № 1 უბანი, რომლის უფროსი ვ. [illegible]ძე. ყოველდღიურ გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ ამ უბნის ის ბრიგადები, რომლებსაც ვ. ჩაკვეტაძე და ი. ასლამაზოვი ხელმძღვანელობენ. კაშხალის მშენებლობაზე მოწინავენი არიან მბურღავი ჯ. ბურჯალიანი, სამთო ოსტატი გ. სვანიძე, მებეტონე რ. გვიშიანი, კლდეზე მცოცავები [illegible] კვარაცხელია და ვ. გვიშიანი.

ნაყოფიერად მუშაობენ გვირაბმშენის სამმართველოს მშენებლები (სამმართველოს უფროსი სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გ. წულეისკირი). სამმართველომ პირველი კვარტალის გეგმა 106 პროცენტით შეასრულა. გეგმით გათვალისწინებული 1 მილიონ 298 ათასი მანეთის სამუშაოების ნაცვლად რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში 1 მილიონ 382 ათასი მანეთის სამუშაოები შეასრულა. დაწინაურდნენ მესამე უბნის გვირაბგამყვანები, რომელსაც ახალგაზრდა ინჟინერი გ. [illegible] ხელმძღვანელობს. წარმატებებს აღწევენ ლენინის ორდენოსანი ს. თედეევის და ო. ბობოხიძის ბრიგადის წევრები.

ძალოვანი კვანძის სამმართველოდან დაწინაურდნენ დახრილ წყალგამტარ და წყალმიმღებ გვირაბზე მომუშავე კომუნისტური შრომის ბრიგადები, რომლებსაც ვლ. ღარიბოვი და ვ. აბესაძე ხელმძღვანელობენ. ბრიგადის წევრები შ. აბაკელია, ა. [illegible]ევსკი, გლ. ვინტერგოლერი, გ. ქობალია, ფ. [illegible], ვლ. მაქაცარია, ი. ჩაკვეტაძე და სხვები ყოველდღიურ გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

ენგური თოკივით ჩაგრეხილა ხევში, მაღლა, სვანეთის მთებში თოვლი და ყინვა დნობას დაიწყებს, იგი მოდიდდება. ეს კარგად ესმით მშენებლებს და მზად არიან სტიქიასთან საბრძოლველად.

**შ. შენგელი,**
**გ. ნოდია.**

---

# მკითხველები გვწერენ
## გუშინდელი ფოსტიდან

□ **ფოთი.** ბევრი დამთვალიერებელი მიიზიდა სსრ კავშირის პერიოდული პრესის გამოფენამ, რომელიც კოლხიდის ზღვისპირა ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მოეწყო.

გამოფენის სტენდებზე წარმოდგენილია საბჭოთა კავშირში გამომავალი ცენტრალური გაზეთებისა და ჟურნალების, აგრეთვე დარგობრივი ჟურნალების ნიმუშები.

ცალკე სტენდი აქვს დათმობილი ქართულ პერიოდიკას, კერძოდ გაზეთებს „კომუნისტს“, „ზარია ვოსტოკას“, „სახალხო განათლებას“, „ლიტერატურულ საქართველოს“, ჟურნალებს „საქართველოს კომუნისტს“, „მნათობს“, „ცისკარს“.

ქ. კომახიძე.

□ **ხაშური.** რაიონში წარმატებით მიმდინარეობს ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებისა და პოლიტიკური, აგრეთვე მხატვრული ლიტერატურის გავრცელების ერთთვიური, რომელიც ათი აპრილიდან დაიწყო. სალოკომოტივო-სავაგონო დეპოებში და სხვა საწარმოებსა და დაწესებულებებში წიგნის ენთუზიასტები ხალისით ავრცელებენ საქწიგნის მაღაზიიდან მიღებულ ლიტერატურას. მათ შორის არიან ელმავლის მემანქანე ა. წიკლაური, სალიანდაგო დისტანციის ინჟინერი ნ. გელაშვილი და სხვები. მოკლე ხანში მეელმავლეებმა და მეორთქლმავლეებმა 1.300 მანეთის, მევაგონეებმა 800 მანეთის წიგნები შეიძინეს.

დ. ფარემუზოვი.

---

# ბრძანებულება
## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
### ამხ. ვ. ვ. ქუჩულორიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

**ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ** და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსი ამხ. ვიქტორ ვლადიმერის-ძე ქუჩულორია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
**გ. ძოწენიძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
**ზ. კვაჭაძე**

თბილისი, 1969 წლის 14 მაისი.

---

## ახალი ჟურნალები

□

# „საქართველოს სოფლის მეურნეობა“ № 5

ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ მორიგი მე-5 ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია მოწინავე — მეტი და უკეთესი ხარისხის ჩაის ნედლეულისათვის, შ. ყიზილაშვილი — ლენინი მელიორაციის ზოგიერთი საკითხის შესახებ, ქ. სულაქველიძე — ავამაღლოთ მექანიზაციის დონე მევენახეობაში, შ. კერესელიძე — ციტრუსოვანთა ყინვებისაგან დაცვის პრობლემები, რ. ხოშერია — მეცხოველეობის აღმავლობას — მეტი ყურადღება! გ. საბანელიძე — შრომის გარანტირებული ანაზღაურება ეკონომიურად სუსტ კოლმეურნეობებში, ო. ალიკოშვილი — შიგასამეურნეო ანგარიში კოლმეურნეობებში, გ. ძლივიძე — მეფრინველეობის განვითარებას — ფართო გზა, ს. ერქომაიშვილი — მეცხოველეობის განვითარების ზოგიერთი საკითხი, შ. ხვადაგიძე, მ. ესებუა — მეტი საკვები მეცხოველეობას, ა. დოხნაძე — ტაბაწყურელთა საზრუნავი, შ. ვერულაშვილი, რ. ქვათაია — ვენახში ნიადაგის დამუშავების თავისებურებანი, ქ. ბრეგვაძე — როცა ზვრებს კარგად უვლიან, გ. ჩიქურიშვილი — პირველი ნაბიჯები, შ. ქანთარია — ვაზის მწვანე ნაწილების ოპერაციები და მოსავალი, თ. მეფარიშვილი — მსხლის ქეცი და მასთან ბრძოლა, პ. კაჭარავა, ფ. სეფიაშვილი, თ. ციციშვილი — სიდერატები ხეხილის ბაღში, ლ. ნოზაძე — ვის სჭირდება ასეთი წიგნი?!, ო. ხუციშვილი — ვნერგავთ ახალს, პროგრესულს, ბ. გვაძაბია — ნასაკირალის უძილო ღამეები (დასასრული), ჟურნალის მე-5 ნომერში აგრეთვე გამოქვეყნებულია სხვა მასალები.

□

# „საქართველოს აგიტატორი“ № 9

ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის“ მორიგი მე-9 ნომერი. ჟურნალი იხსნება ა. შარაბიძის სტატიით „ვისაუბროთ გულახდილად“, აქვეა დაბეჭდილი ე. ბატიაშვილის წერილი — მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის ბრძოლის ახალი ეტაპი, ქ. ელიზბარაშვილის — ვ. ი. ლენინი სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში აღრიცხვისა და კონტროლის როლის შესახებ, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების გეგმა, კ. მეჭველიას — იდეურად გამოწრთობილ, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა აღზრდისათვის, ნ. ხოსროშვილის — პოლიტინფორმაციის თემა — პროდუქციის ხარისხი, კ. კალანდაძის — ბრძოლა კვლავ იბრძვის, ო. ქეშელაშვილის — ქიმიური მარგვლა, მ. ზალიშვილის — ადამიანს სიცოცხლე ეძლევა ერთხელ, დ. ჯიბლაძის — დედაქალაქის მშენებლობისათვის ამისა. ჟურნალის მე-9 ნომერში გამოქვეყნებულია სხვა საინტერესო მასალები.

# საზღვარგარეთის ცხოვრება

## საუკუნის დიდი იუბილე

სოფია, 13 მაისი. (საკდესი). [illegible]

...რისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლაში, წერს „ზემედელსკო ზნამე". ლენინის იდეები შთააგონებენ ახალი ცხოვრების მშენებლებს სოციალიზმის სამყაროში და მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლებს მთელ მსოფლიოში.

გაზეთი „ნაროდნა არმია" აცხადებს, რომ ლე- [illegible] ...მშრომელები ილიჩის დაბადების 100 წლისთავს შეხვდებიან ახალი წარმატებებით სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში, რადგან ჩვენი ძმა და მოკავშირეა ლენინის ქვეყანა, რადგან ჩვენ მიგვიძღვის სახელოვანი, ბრძოლებში ნაწრთობი მარქსისტულ-ლენინური პარტია — ბულგარეთის კომუნისტური პარტია.

## ოპოზიცია ძლიერდება

ნიუ-იორკი, 14 მაისი. (საკდესი). სულ უფრო მტკიცე ოპოზიციას აწყდება ამერიკის შეერთებულ შტატებში მთავრობის გადაწყვეტილება გაშალოს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა „სეიფგარდი".

შეერთებულ შტატებში ფართო რეზონანსი ჰქონდა მოხსენებას, რომელიც სენატორ ედვარდ კენედის თხოვნით მოამზადა უმაღლეს სასწავლებელთა თვალსაჩინო მეცნიერებისა და პროფესორების ჯგუფმა. ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა" ამ მოხსენებას სარედაქციო სტატია მიუძღვნა.

სტატიაში ხაზგასმულია, რომ მოხსენება შეიცავს დიდმნიშვნელოვან ახალ ტექნიკურ მონაცემებს, აგრეთვე ყველა მთავარ ფაქტსა და არგუმენტს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის დაუყოვნებლივ გაშლის წინააღმდეგ. ერთად შეკრებილი ყველა ეს დოკუმენტი დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, აცხადებს გაზეთი.

რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის მოწინააღმდეგეთა ერთ-ერთ მიტინგზე დეტროიტის მერმა ჯერომ კევენიმ განაცხადა, შეერთებული შტატებისათვის ყველაზე კარგი თავდაცვა რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა კი არა, არამედ მშვიდობა იქნებოდაო. მან გააკრიტიკა მთავრობა იმის გამო, რომ ასეთი პროექტებისათვის ხარჯავს მილიარდობით დოლარს მოსახლეობის საარსებო საჭიროებათა საზარალოდ.

ვაშინგტონი, 13 მაისი. (საკდესი). **ამერიკის შეერთებულ შტატებში გამალებული შეიარაღება შთანთქავს სახსრებს, რომლებიც უაღრესად საჭიროა ქვეყნის ისეთი გადაუდებელი სოციალურ-ეკონომიური პრობლემების გადასაჭრელად, როგორიცაა, კერძოდ, ბრძოლა ამერიკის ქალაქების კრიზისის წინააღმდეგ, განაცხადა სენატის დემოკრატიული უმრავლესობის ლიდერის მოადგილემ ედვარდ კენედიმ.**

ამერიკის შრომის ფედერაციისა და საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის მშენებელ მუშათა პროფკავშირის ყოველწლიურ კონფერენციაზე კენედიმ მკვახედ გააკრიტიკა პენტაგონის პოლიტიკა, რომლის მიზანია გამალებული შეიარაღება, ატომური არსენალის გაფართოება.

8 მილიარდ დოლარად, რომლებიც განკუთვნილია ამერიკის შეერთებულ შტატებში რაკეტსაწინააღმდეგო დაცვის სისტემის „სეიფგარდის" შექმნისათვის, თქვა მან, შეიძლება აშენდეს 400.000 ბინა მცირეხელფასიან ამერიკელთა ოჯახებისათვის, 400.000 კლასი მოსწავლეთათვის და 1.300 საავადმყოფო, რომლებშიც 200-200 ადგილი იქნება.

კონფერენციის მონაწილეები სენატორ კენედის სიტყვებს მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

## ყოველი მხრიდან

14 მაისი

### რაზე წერს უცხოეთის პრესა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სოციალისტური სახელმწიფოების პრესა ფართოდ აღნიშნავს ევროპის 8 სოციალისტური ქვეყნის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ვარშავაში ხელმოწერის მე-14 წლისთავს.** გაზეთები ხაზს უსვამენ, რომ აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის საომარი მუქარის გამო ვარშავის ხელშეკრულების დადება უაღრესად საჭირო იყო. „ვარშავის ხელშეკრულებამ, —წერს პოლონური **„ტრიბუნა ლუდუ"**, — სავსებით გაუძლო დროის გამოცდას". როგორც ხაზგასმით აღნიშნავს უნგრული **„ნეპსაბადშაგი"**, ვარშავის ხელშეკრულება, რომელიც განასახიერებს სოციალისტური ქვეყნების თავდაცვითს ძლიერებას, ევროპის უშიშროებისა და მშვიდობის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია. სოფიის გაზეთები აქვეყნებენ ვარშავის ხელშეკრულების წლისთავისადმი მიძღვნილ სტატიებს სათაურებით: „სოციალისტურ მონაპოვართა საიმედო გუშაგი", „სოციალიზმისა და მშვიდობის ბასტიონი".

**„ნიუ-იორკ ტაიმსის"** მიმომხილველი სულცბერგერი თავის სტატიაში ვიეტნამის ომის შესახებ ხაზს უსვამს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ძლიერდებოდა პროტესტები ამ ომის წინააღმდეგ. მიმომხილველს გამოაქვს დასკვნა, რომ ვაშინგტონის ვიეტნამის ავანტიურა გარდუვალად ჩაიფუშება. „შეერთებული შტატები, — აღნიშნავს სულცბერგერი, — ახლა, როგორც ჩანს, თავისი პირველი ომის წაგების ზღვარზეა".

**პარიზის პრესის მთავარი საშინაო თემაა საფრანგეთის პრეზიდენტის მომავალი არჩევნები.** როგორც **„ლუმანიტე"** აღნიშნავს, საფრანგეთის მთელმა ბურჟუაზიულმა პროპაგანდამ მოახდინა ძალების მობილიზაცია, რათა დაარწმუნოს ამომრჩევლები, რომ არჩევნებში ბრძოლა იწარმოებს, უმთავრესად, პოერსა და პომპიდუს შორის.

**ლონდონის პრესა ვრცელ კომენტარს უძღვნის კონფლიქტის გამწვავებას ინგლისის მთავრობის შიგნით, რაც გამოწვეულია პრემიერ-მინისტრ ვილსონის გადაწყვეტილებით არ დაუშვას შინაგან საქმეთა მინისტრი კალაგენი მინისტრთა კაბინეტის ეგრეთწოდებული შინაგანი ჯგუფის სხდომაზე.** გაზეთები აღნიშნავენ, რომ ვილსონის გადაწყვეტილება აიხსნება კალაგენის პოზიციით, რომელმაც გააკრიტიკა მთავრობის პროექტი ანტიპროფკავშირული კანონმდებლობისა. **„მორნინგ სტარი"** ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ვილსონი, მიუხედავად ოპოზიციისა თვით ლეიბორისტული მოძრაობის შიგნით, დაჟინებით ცდილობს მიაღწიოს კანონმდებლობის მიღებას.

ფაქტი კომენტარით

## ცდილობენ ხელში ჩაიგდონ ძალაუფლება

**აშკარა შოვინიზმი, რევანშიზმი, მილიტარიზმი და თავშეუკავებელი სოციალური დემაგოგია — ასეთია განმასხვავებელი ნიშნები დასავლეთგერმანული ნეონაციზმის მთავარი დამკვრელი რაზმის — ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის წინასაარჩევნო ყრილობისა, რომელიც ეს-ეს არის გაიმართა შტუტგარტში. ამ თავყრილობის პროვოკაციულ ხასიათს ადასტურებს ის, რომ იგი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქში მიმდინარეობდა სწორედ იმ დღეებში, როცა მსოფლიოს ხალხები აღნიშნავდნენ გერმანულ ნაციზმზე გამარჯვების დღესასწაულს.**

შტუტგარტის ყრილობას „საპროგრამო ხასიათი" ჰქონდა, მან მიიღო „მიმართვა ხალხისადმი" და „წინასაარჩევნო პროგრამა", რომლებშიც გაშუქებულია ნეონაცისტთა პოლიტიკური პლატფორმა. სწორედ ეს დოკუმენტები უნდა გახდეს უახლოეს თვეებში „საფუძველი" ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის მოქმედებისა ბუნდესტაგის მიმდინარე წლის სექტემბრის არჩევნებისათვის მზადების მსვლელობაში.

მერე როგორია „მიმართვისა" და „პროგრამის" შინაარსი? იგი აშკარა რევანშისტულია და განისაზღვრება უწინარეს ყოვლისა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის უარყოფით", ტერიტორიული მოთხოვნებით ევროპის სხვა სახელმწიფოებისადმი, იმით, რომ უარს ამბობენ თავიდანვე ბათილად ცნონ მიუნხენის 1938 წლის ხელშეკრულება, პრეტენზიებს აყენებენ დასავლეთ ბერლინის მიმართ.

სამხედრო დარგში ნეონაცისტები აცხადებენ, რომ სავსებით და შეუზღუდავად „უჭერენ მხარს" ბუნდესვერის გენერლებს, იმეორებენ თავიანთ მოთხოვნებს „გენერალური შტაბის შექმნის" შესახებ.

ნაციონალ-დემოკრატიული პარტია გამოდის ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების წინააღმდეგ.

და, ბოლოს, იგი მოითხოვს „გენერალურ ამნისტიას", ე. ი. ნაცისტი და სამხედრო დამნაშავეების საყოველთაო და სრულ პატიებას.

შტუტგარტის ყრილობაზე დაადასტურეს ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის მეთაურთა არაერთგზისი მოწოდება, რომ ეს წელი უნდა გახდეს „დიდ პოლიტიკურ ღონისძიებათა წელი", რომელთაგან მთავარია ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციის შექმნა ბუნდესტაგში. დამახასიათებელია, რომ მასშტაბი და ხასიათი წინასაარჩევნო ბრძოლისა, რომელიც უკვე გაშალეს ნეოფაშისტებმა, ახლა უცხოეთის ბურჟუაზიულ პრესაშიც კი შეშფოთებას იწვევს. მაგალითად, ინგლისური გაზეთის „სანის" სიტყვით, ნეონაცისტთა ახლანდელი წინასაარჩევნო კამპანია „ყველაზე უფრო გააფთრებულია ნაცისტების 20-იანი წლების წინასაარჩევნო ბრძოლების შემდეგ".

ამ კამპანიის გაშლისათვის ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებს ახლა უკვე აქვთ სოლიდური ბაზა დასავლეთ გერმანიის თითქმის ყველა მხარეში. ამ უკანასკნელ წლებში ნეონაცისტებმა 60-ზე მეტი დეპუტატის ადგილი მიიღეს დასავლეთ გერმანიის მხარეთა ათიდან შვიდ პარლამენტში. მათი ასობით წარმომადგენელი უკვე ზის ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში.

ყრილობა გაიმართა მოკლე ხნის შემდეგ იმ დროიდან, რაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ ხელი აიღო ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის აკრძალვის ყოველგვარ ღონისძიებაზე. ყრილობამ ცხადყო, რომ ამჟამად პარტიის წინამძღოლებს უკვე სავსებით სჯერათ, რომ მათი აქტიურობისათვის პოლიტიკურ ასპარეზზე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არ არსებობს რაიმე სერიოზული დაბრკოლება. გამოვიდა რა ყრილობაზე, ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ფონ ტადენმა დაუფარავი კმაყოფილებით ხაზი გაუსვა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა „არ აპირებს რაიმე ღონისძიება იხმაროს ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ".

შტუტგარტში გაიმართა თავისი მასშტაბით უმაგალითო თავყრილობა ნეონაცისტებისა, რამაც ევროპის ქვეყნების ანტიფაშისტთა და მთელი დემოკრატიული საზოგადოებრიობის აღშფოთება გამოიწვია. ისინი გმობენ აგრეთვე ოფიციალური ბონის მოქმედებას, რომელიც საშუალებას აძლევს ნეონაცისტებს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაუსჯელად აწყობდნენ სულ უფრო თავხედურ გამოსვლებს.

(საკდესი).

## მხოლოდ ფაქტები

ბოგოტა, 13 მაისი. (საკდესი). კოლუმბიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელმა კომიტეტმა მოიწონა კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის ძირითადი დოკუმენტის პროექტი.

ამ თათბირზე კომუნისტური დელეგაციის მეთაური იქნება კოლუმბიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი კილბერტო ვიეირა". ეს განაცხადა კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელმა.

☐ **ნიუ-იორკი, 14 მაისი.** (საკდესი). გუშინ გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა მორიგი შეხვედრა ახლო აღმოსავლეთში მშვიდობიანი პოლიტიკური მოწესრიგების საკითხებზე.

შემდეგი შეხვედრა 21 მაისს გაიმართება.

☐ ამანი, 14 მაისი. (საკდესი). „პალესტინის განთავისუფლების სახალხო ფრონტის „საბრძოლო რაზმებმა 1-დან 12 მაისამდე განხორციელებული ოპერაციების შედეგად დახოცეს და დაჭრეს 21 ისრაელი ჯარისკაცი და მოსპეს ორი სამხედრო ავტომანქანა, ნათქვამია ორგანიზაციის კომუნიკეში.

## მშვიდობის ინტერესებისათვის

**ბერლინი**, 13 მაისი. (საკდესი). **აქ დამთავრდა მშვიდობის მსოფლიო ასამბლეის მოსამზადებელი საერთაშორისო კომიტეტის სხდომა. ასამბლეა 21-24 ივნისს გაიმართება ბერლინში.**

კომიტეტის სხდომაზე აღინიშნა, რომ ასამბლეას უკვე დაუჭირეს მხარი 30 საერთაშორისო ორგანიზაციამ და 70-ზე მეტი ქვეყნის ეროვნულმა ორგანიზაციებმა. ცალკეულ ქვეყნებში ასამბლეისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ ცნობები, რომლებიც წარმოადგინეს მშვიდობის მსოფლიო ასამბლეის მოსამზადებელმა საერთაშორისო საორგანიზაციო კომიტეტმა და სხდომის მონაწილეებმა, მოწმობენ, თუ რა დიდ ინტერესს იჩენენ მსოფლიო საზოგადოებრიობის ფართო წრეები მშვიდობისმოყვარე ძალების ამ საერთაშორისო ფორუმისადმი.

განიხილეს ასამბლეის დღის წესრიგის საკითხები: ვიეტნამი, ევროპის უშიშროება, მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში, კოლონიალიზმი, ნეოკოლონიალიზმი და ეროვნული დამოუკიდებლობა, განიარაღება და კომისიების, ქვეკომისიების მუშაობისა და სპეციალიზებულ შეხვედრათა (პარლამენტარების, პროფკავშირული მოღვაწეების, გლეხთა, რელიგიური, ქალთა, ახალგაზრდობის ორგანიზაციების წარმომადგენლებისა) გეგმები.

კომუნიკეში, რომელიც მშვიდობის მსოფლიო ასამბლეის მოსამზადებელმა საერთაშორისო კომიტეტმა მიიღო, აღნიშნულია, რომ ასამბლეის მონაწილეებს ექნებათ შესაძლებლობა ფართოდ გაუზიარონ ერთმანეთს აზრი ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლის აქტუალურ საკითხებზე, რომლებსაც ასამბლეა განიხილავს".

## ჟაკ დიუკლო პრეზიდენტობის კანდიდატია

პარიზი, 13 მაისი. (საკდესი). დღეს საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭოს ოფიციალურად წარუდგინეს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრის ჟაკ დიუკლოს კანდიდატურა პრეზიდენტის პოსტზე. მისი კანდიდატურის მხარდასაჭერად ხელი მოაწერეს ეროვნული კრებისა და სენატის ასზე მეტმა წევრმა, ეკონომიური საბჭოს წევრებმა, საფრანგეთის 80 დეპარტამენტის მერებმა და გენერალურმა მრჩევლებმა.

## კრიშნა მენონი აირჩიეს პარლამენტში

დელი, 14 მაისი. (საკდესი). ინდოეთის ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა კრიშნა მენონმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა პარლამენტის სახალხო პალატის დამატებითს არჩევნებში, რომელიც მოეწყო მინდაპურის (დასავლეთ ბენგალიის შტატი) ოლქში. მან მიიღო 187.070 ხმა. ეს 106.767 ხმით მეტია, ვიდრე მიიღო მისმა უახლოესმა მეტოქემ, მმართველი პარტიის ინდოეთის ეროვნული კონგრესის კანდიდატმა კრიშნა დას როიმ.

კრიშნა მენონს, რომელიც კენჭს იყრიდა როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი, მხარი დაუჭირა დასავლეთ ბენგალიის გაერთიანებულმა საპარლამენტო ფრონტმა.

## ფინანსური გაკოტრების ზღვარზე

ლონდონი, 14 მაისი. (საკდესი). **წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ცენტრალური ბანკების მმართველთა ბაზელის საგანგებო თათბირმა, რომელიც მოიწვიეს ინგლისური გირვანქა სტერლინგისა და ფრანგული ფრანკის კრახის თავიდან ასაცილებლად, ვერ დაამშვიდა ინგლისი.**

არაოფიციალური ცნობებით, უკანასკნელ სამ-ოთხ დღეში ინგლისის ხაზინამ დაკარგა თითქმის ნახევარი ოქროსა და ვალუტის მარაგი. წარმოებდა მასობრივი სპეკულაციური ოპერაციები სტერლინგის ვალუტის გატანა დასავლეთგერმანულ მარკებზე გადასაცვლელად. ამასთან დაკავშირებით გირვანქა სტერლინგის კურსის შენარჩუნების ცდები ძვირად დაუჯდა ხაზინას.

რაც შეეხება იმ კოლოსალური რეზერვების უკან დაბრუნებას, რომლებიც დასავლეთ გერმანიის ფედერალურ ბანკში დაგროვდა სპეკულაციური ციებ-ცხელების შედეგად, ჯერ ერთი, დღემდე ვერ გამონახეს რეზერვების უკან დაბრუნების რამდენადმე ეფექტიანი მეთოდები და, მეორე, სპეკულანტებს ჯერ კიდევ აქვთ იმედი, რომ მოხდება დასავლეთგერმანული მარკის რევალვაცია და თავიანთ ანგარიშებზე ინახავენ მარკის დაგროვილ რეზერვებს.

გირვანქა სტერლინგის მდგომარეობა გააუარესა აგრეთვე ცნობებმა, რომ ვაშინგტონში ინგლისსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს შორის წარმოებს მოლაპარაკება ინგლისისათვის ახალი დიდი კრედიტის მიცემის შესახებ. ინგლისის ხაზინის მარტო მოკლევადიანი სავალო და საკრედიტო ვალდებულებები უცხოეთის ბანკების მიმართ ახლა დაახლოებით სამნახევარ მილიარდ გირვანქა სტერლინგს აღწევს. ინგლისის ოქროსა და ვალუტის მარაგი კი, ამჟამად ფინანსური ქარიშხლის შემდეგ მილიარდ გირვანქა სტერლინგს ძლივს აღწევს. ამრიგად, ქვეყანა პრაქტიკულად ფინანსური გაკოტრების ზღვარზეა.

ინგლისის მთავრობა ახლა დიდ იმედებს ამყარებს იმაზე, რომ დაითანხმოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა დასავლეთგერმანული მარკის რევალვაციაზე.

## ფოტოინფორმაცია

**პ**რაღის ცენტრში 25 თებერვლისა და ვინოგრადსკაიას ქუჩების კუთხეში აღიმართა ფოლადის კარკასი. გავა ცოტა ხანი, და ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქს დაამშვენებს თანამედროვე არქიტექტურის უკანასკნელი სიტყვით შექმნილი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრების შენობა, რომელიც ძირითადად ბეტონითა და მინით შენდება.

სურათზე: მიმდინარეობს მშენებლობა.

ფოტო ჩტკ-საკდესისა.





**გ**ერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში დიდ როლს ასრულებს ავიაცია. თვითმფრინავებიდან აყრიან ნათესებს სასუქს. მინდვრების ამ წესით წინასწარი დამუშავება მომავალი მოსავლის საწინდარია.

სურათზე: შაფშტედტის აგროქიმიური ცენტრის დირექტორი გ. მიორინგი (მარჯვნივ), მფრინავი ი. მაიზელი და მექანიკოსი ფ. შმიდელი აზუსტებენ მორიგი გაფრენის მარშრუტს.

ფოტო ადნ-საკდესისა.

## წყალდიდობა სირიაში

დამასკო, 13 მაისი. (საკდესი). სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში (დეირ ეზ-ზორის პროვინცია) მოხდა წყალდიდობა. მდინარე ევფრატის დონემ გაზაფხულის წყალმეტობას შედეგად ჩვეულებრივზე 5,5 მეტრით აიწია.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, წყალმა დატბორა 12 სოფელი და 5.000-ზე მეტი ჰექტარი სასოფლო - სამეურნეო სავარგული. ძლიერი ქარის შედეგად წყლის ნაკადმა მდინარე ევფრატზე დაანგრია 50-ზე მეტი საცავი ჯებირი. მნიშვნელოვნად დაზიანდა საცხოვრებელი ნაგებობანი და გლეხთა ნათესები. სპეციალური მაშველი რაზმები ვერტმფრენავების საშუალებით განაგრძობენ მოსახლეობის ევაკუაციას რაიონებიდან, რომლებსაც დატბორვა მოელის.

წინასწარი გამოანგარიშებით, წყალდიდობით გამოწვეული ზარალი რამდენიმე მილიონ სირიულ გირვანქას შეადგენს.

## ახალი კანონპროექტი

**დამასკო**, 13 მაისი. (საკდესი). **სირიის არაბთა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გასახილველად წარუდგინა კანონპროექტი ადგილობრივი მმართველობის ორგანოების შესახებ.** როგორც დღეს გაზეთი „ას-საურა" წერს, ეს პროექტი შედგენილია მიმდინარე წლის 2 მაისს გამოქვეყნებული დროებითი კონსტიტუციის დებულებათა შესაბამისად. კანონპროექტით გათვალისწინებულია ფართო შესაძლებლობა მიეცეს ხალხის მასებს მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის მართვაში. პროექტი ითვალისწინებს სოციალისტური ქვეყნების გამოცდილებასა და სირიის ობიექტურ თავისებურებებს. ადგილობრივი მმართველობა საბჭოების ფორმით შესაძლებლობას მისცემს ხელისუფლების ცენტრალურ აპარატს მეტი ყურადღება დაუთმოს სახელმწიფო საქმეებს, არ დაწვრილმანდეს ადგილობრივ პრობლემათა გადაწყვეტისათვის, უზრუნველყოს გეგმიანი მეურნეობა პროვინციაში, გაზარდოს მოსახლეობის პასუხისმგებლობა წარმოების დარგში, იცოდეს ხალხის მასების მოთხოვნილება და საჭიროებანი. სახალხო საბჭოები იზრუნებენ აგრეთვე ქვეყნის ეკონომიური განვითარებისათვის, მართვის დემოკრატიზაციისა და სახალხო კონტროლის განხორციელებისათვის.

## რეპრესიები ესპანეთში

**პარიზი**, 13 მაისი. (საკდესი). **როგორც გაზეთი „მონდი" იუწყება, ფრანკისტულმა ხელისუფლებმა ბილბაოში გახსნეს ორი ახალი დროებითი სამხედრო ტრიბუნალი.** ისინი გამოიძიებენ იმ პირთა საქმეებს, რომლებიც მონაწილეობენ ან ეჭვმიტანილი არიან ბასკთა ქვეყნის თავისუფლებისათვის მებრძოლთა ასოციაციის საქმიანობაში. ახლა ამ რაიონში არის 4 სამხედრო ტრიბუნალი — სამი ბილბაოში და ერთი სან-სებასტიანში. გაზეთი წერს, რომ ესპანეთის პოლიციამ ბასკთა ქვეყნის თავისუფლებისათვის მებრძოლთა ასოციაციის წევრობის ბრალდებით დააპატიმრა 60 კაცი.

## მემარცხენე ძალების ერთობისათვის

**პარიზი**, 14 მაისი. (საკდესი). ფიზიკური და გონებრივი შრომის მუშაკთა გაერთიანება, ყველა დემოკრატის გაერთიანება მთავარი პირობაა იმისა, რომ ბოლო მოეღოს კაპიტალისტურ მონოპოლიათა ძალაუფლებას და განხორციელდეს ღრმა პოლიტიკური და ეკონომიური გარდაქმნები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას დაუსახავენ სოციალიზმის გზას, ნათქვამია წერილში, რომელიც საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ვალდეკ როშემ გაუგზავნა მემარცხენე ძალების საერთო კანდიდატურის დასახელების მომხრეთა კომიტეტს.

საფრანგეთის კომპარტიამ, ნათქვამია წერილში, თავისი კანდიდატი დაასახელა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ყოველი ღონე იხმარა, რათა შეთანხმებოდა მემარცხენე პარტიებს ერთობლივი სამთავრობო პროგრამის საფუძველზე და საერთო კანდიდატის შესახებ, აგრეთვე მას შემდეგ, რაც მისი წინადადებანი უარყვეს.

კომუნისტური პარტია, აცხადებს ვ. როშე, კვლავ მხარს უჭერს იმას, რომ შემუშავდეს ყველა მემარცხენე პარტიისა და დიდი პროფკავშირული ორგანიზაციების ერთობლივი პროგრამა. საფრანგეთის კომპარტია კვლავაც მტკიცედ იბრძოლებს თავისი მიზნების განხორციელებისათვის.

უცხოეთის პრესის ფურცლებზე

„ნეპსაბადშაგი", უნგრეთი

## „ჩინეთის საგარეო პოლიტიკა"

**ბუდაპეშტი**, 13 მაისი. (საკდესი). **„ჩინეთის საგარეო პოლიტიკა პარტიის ყრილობის შემდეგ" — ასეთი სათაურით გაზეთმა „ნეპსაბადშაგმა" გამოაქვეყნა სტატია, რომელიც კომენტარს უძღვნის „ჩინეთის კომპარტიის მე-9 სრულიად ჩინეთის ყრილობის" შედეგებს.**

ლინ ბიაომ, აღნიშნულია სტატიაში, განაცხადა „პოლიტიკურ მოხსენებაში", რომ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება ჩინეთში დამოკიდებულია არა მარტო საშინაო ღონისძიებებზე, არამედ აგრეთვე „მსოფლიო რევოლუციის გამარჯვებაზე". მან ნათლად აღნიშნა რომ ამის შედეგად ჩინეთი დაინტერესებულია რაც შეიძლება მალე დაიწყოს მსოფლიო რევოლუცია, მაშასადამე, დასკვნის გაზეთი, ჩინეთის საგარეოპოლიტიკური სტრატეგიის კონცეფცია იქნებოდა შემდეგი: ჩინეთში სოციალიზმის აშენებისათვის საჭიროა მსოფლიო რევოლუცია, ხოლო მსოფლიო რევოლუციისათვის საჭიროა, არსებითად რომ ვთქვათ, მსოფლიო ომი. მოხსენებაში არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ რევოლუციას შეუძლია თავიდან აგვაცილოს ომი და როგორ უნდა ავაცილოთ.

მაოისტები, აღნიშნულია შემდეგ სტატიაში იმპერიალიზმთან ერთად მოწინააღმდეგედ ასახელებენ საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს. ამასთან მოხსენებიდან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ „მსოფლიო ომი, რომელიც ხელს შეუწყობს მსოფლიო რევოლუციას" ჩინეთს თვითონ კი არ სურს აწარმოოს. ჩინეთს შესაძლოდ მიაჩნია (და ჩვენ შეგვიძლია დავუმატოთ: თავის მხრივ ხელს შეუწყობდა ამას), რომ ეს მსოფლიო ომი დაიწყოს სხვა სახელმწიფოებს შორის, მაშინ როცა როგორც ძველი ჩინური თქმულება ამბობს — მაოისტები „მთის მწვერვალზე მსხდომარენი ადევნებდნენ თვალს, როგორ იბრძვიან ვეფხვები".

ლინ ბიაოს მსჯელობიდან ირკვევა, რომ პეკინი ლაპარაკობს არა მსოფლიო რევოლუციაზე მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკური გაგებით, არამედ ისეთ რევოლუციაზე, რომელსაც „მსოფლიოს ხალხები" აწარმოებდნენ იმ მოსაზრებით, "რომ მათი ინტერესები ემთხვევა ინტერესებს, რომლებიც ჩინეთის ახლანდელმა ხელმძღვანელებმა განსაზღვრეს. ინტერნაციონალიზმის, მსოფლიოს ხალხების ამგვარი დამოწმებით მაოისტებმა აშკარად განაცხადეს ყრილობაზე მსოფლიო ჰეგემონიის პრეტენზია.

ახასიათებს რა ყრილობის შემდეგ შექმნილ მდგომარეობას, „ნეპსაბადშაგი" აღნიშნავს რომ ჩინეთში მაოისტები ახორციელებენ ღონისძიებებს ხელისუფლების კონსოლიდაციისათვის მნიშვნელოვანი წინააღმდეგობის პირობებში.

დასავლეთში მიღებული ცნობებით (კაპიტალისტურ ქვეყნებს ამჟამად ჩინეთიდან ინფორმაციის მიღების უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ, ვიდრე სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლებს, სხვათა შორის იმიტომაც, რომ ჩინეთის საგარეო ვაჭრობის სამი მეოთხედი კაპიტალისტურ ქვეყნებზე მოდის), ჩინეთის დიპლომატია ხედავს ამ უკანასკნელ წლებში შექმნილ იზოლირებას და სურს გააძლიეროს აქტივობა. ორი წლის წინათ ჩინეთმა გაიწვია 36 თავისი ელჩი, ხოლო სულ 90-მდე წამყვანი დიპლომატი. არსებული ცნობებით, ისინი ან მათი მემკვიდრენი ახლა მზად არიან, რომ კვლავ დაბრუნდნენ თავიანთ პოსტებზე.

ამას მოწმობს მრავალი ფაქტი. ამ ცოტა ხნის წინათ ჩინეთმა ხელი მოაწერა სავაჭრო შეთანხმებას იუგოსლავიასთან. დაიწყო დიპლომატიური მოლაპარაკება ბირმასთან. კვლავ ფართოვდება საგარეო ვაჭრობის დარგში ურთიერთობა ჩინეთის ნომერ ერთ და ნომერ ორ პარტნიორებთან — იაპონიასა და დასავლეთ გერმანიასთან.

შემდეგ „ნეპსაბადშაგი" წერს: შეგვიძლია თუ არა ვთქვათ, ჩინეთი, რომელიც დიდმპყრობელური შოვინიზმის პოლიტიკას აცხადებს, არის მოკლე ხნით, ტაქტიკურად, მხოლოდ „ქაღალდის დრაკონიაო" არავითარ შემთხვევაში. ასეთი ვარაუდით არ შეიძლება ხელმძღვანელობდეს, მაგალითად, ისეთი ქვეყანა, რომელსაც სიტყვით ემუქრება ჩინეთი და რომლის საზღვარი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან მრავალ ათას კილომეტრზეა გაჭიმული. უფრო მეტიც, ლინ ბიაოს მოხსენებაში ჩვენ ვპოულობთ ბევრ დამოწმებას, რომ მსოფლიოს ჩაგრული ქვეყნები, ხალხები და პიროვნებანი ქმნიან „რაც შეიძლება უფრო ფართო ერთიან ფრონტს საერთო მტრის წინააღმდეგ", ხოლო 'ამ საერთო მტრად მაოისტებს მიაჩნიათ არა მარტო იმპერიალიზმი, არამედ აგრეთვე საბჭოთა კავშირი.

ცხადია, ხაზგასმულია სტატიაში, რომ ასეთი ერთიანი ფრონტი, რომელიც მიმართულია „აგრეთვე" საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, გააერთიანებდა არა იმათ, ვინც პირველ რიგში მხარს უჭერს ერთობას საბჭოთა კავშირთან და სოციალისტურ ქვეყნებთან, ესე იგი არა იმათ, ვისაც სურს ყველაზე მძლავრ და ყველაზე ორგანიზებულ ანტიიმპერიალისტურ ბანაკთან ერთად შეკავშირდეს იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. პირიქით, ასეთ ერთიან ფრონტად შეიძლება გაერთიანდნენ მხოლოდ ისინი, ვისაც სურს შემობრუნდეს საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ. ერთობისადმი მოწოდება, რომელიც ყრილობაზე გაისმა, ჭეშმარიტი ანტიიმპერიალისტური ერთიანი ფრონტის ძირის გამოთხრა და მოშლაა.

განუზომელია მაოისტთა პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ ასეთ ისტორიულ მომენტში, როცა მსოფლიოს მთელ პროგრესულ ძალებს მართებთ შეკავშირდნენ ატომური ომის საფრთხის, იმპერიალისტური შანტაჟისა და მუქარის წინააღმდეგ ბრძოლაში, იმ პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც ხელს უშლიან კაცობრიობის მშვიდობიან პროგრესს, ასეთ მომენტში მაოისტები უზარმაზარი ქვეყნის ძალებს იყენებენ იმისათვის, რომ გათიშონ ანტიიმპერიალისტური ბანაკი, წერს დასასრულ „ნეპსაბადშაგი".

## ავსტრალიური კალეიდოსკოპი

### არქეოლოგიური ნაპოვნი

**ავსტრალიელმა არქეოლოგებმა ტასმანიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში აღმოაჩინეს ქვაში გამოკვეთილ რელიეფურ გამოსახულებათა უძველესი გალერიის ნარჩენები. ეს სურათები დღემდე ნაპოვნ არც ერთ მოხატულობას არა ჰგავს. რამდენიმე გამოსახულების დეტალური შესწავლის საფუძველზე გამოჩენილი ავსტრალიელი არქეოლოგი და ანთროპოლოგი მივიდა დასკვნამდე, რომ ისინი გაკეთებულია იმ პერიოდში, როცა ჯერ კიდევ არსებობდა სახმელეთო კავშირი ტასმანიასა და ავსტრალიის მატერიკს შორის, ე. ი. 10 ათასზე მეტი წლის წინათ.**

### „მფრინავი კუბოები"

**მრავალი** კატასტროფა ფ-3 ტიპის თვითმფრინავ-ბომბდამშენებისა, რომლებსაც ავსტრალია ამერიკის შეერთებული შტატებისაგან ყიდულობს, ავსტრალიელთა მზარდ აღშფოთებას იწვევს. საქმე ის არის, რომ ამ თვითმფრინავებს გეომეტრიულად ცვალებადი ფრთები აქვთ, და სწორედ კატასტროფის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს ფრთის ფორმის მარეგულირებელი მექანიზმების ცუდი მუშაობა.

გაზეთებში არაერთხელ იყო გამოთქმული აზრი, რომ გადასახადის გადამხდელების ჯიბიდან ამოღებული ფულით „მფრინავი კუბოების" შეძენა ეროვნული ინტერესების ღალატია.

### შავბნელი სტატისტიკა

**ჯ**ანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ამას წინათ გამოქვეყნებული ცნობები მოწმობენ, რომ ამჟამად ავსტრალიას პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში საავტომობილო კატასტროფათა მსხვერპლის რაოდენობის მიხედვით.

ქვეყნის საზოგადოებრიობას არაერთხელ მოუთხოვია მთავრობისაგან სახსრების გაღება გზების რეკონსტრუქციისა და მოძრაობის უსაფრთხოობის სათანადო დონის უზრუნველყოფისათვის.

### მეცნიერი შიშობს

**ნობელის** პრემიის ლაურეატმა, გამოჩენილმა მეცნიერმა მაკფარლეინ ბერნეტმა ამას წინათ განაცხადა, რომ 1980 წლისათვის ავსტრალია შეიძლება ამერიკის შეერთებული შტატების „ტექნიკური სატელიტი" გახდეს. მისი აზრით, ეს შეიძლება მოხდეს იმიტომ, რომ ამერიკული კომპანიები თითქმის აბსოლუტურ კონტროლს უწევენ ავსტრალიის მრეწველობას, და ამრიგად მათს სრულ განკარგულებაშია ადგილობრივ მეცნიერთა და ინჟინერთა აღმოჩენები და გამოგონებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფართო გზა ტურიზმს

[illegible] ტურიზმი ღრმად იდგამს ფესვებს ქართველი კაცის ცხოვრებაში. ამიტომ საქართველოს ტურიზმის რესპუბლიკურ საბჭოს დიდი მოვალეობა აკისრია მშრომელთა აქტიური დასვენების დანერგვისათვის.

„კომუნისტის" კორესპონდენტმა ბ. ბახტურიძემ საქართველოს ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს ივანე ღარიბაშვილს სთხოვა ეამბნა, თუ რა კეთდება, რა პერსპექტივებია ჩვენს რესპუბლიკაში ტურიზმის განვითარებისათვის.

## ჩვენი ინტერვიუ

— ტურიზმის გაფართოებას და მასობრიობას ჩვენს რესპუბლიკაში, — თქვა ი. ღარიბაშვილმა, — დიდად შეუწყო ხელი ხუთდღიანმა სამუშაო კვირამ და შექმნა კარგი პირობა ლაშქრობის, მოგზაურობის, ექსკურსიების, ტურისტული შეჯიბრებების მოწყობისათვის. ჩვენმა საბჭომ 1968 წლისათვის ნაკისრი გაზრდილი სოციალისტური ვალდებულებები პირნათლად შეასრულა და რესპუბლიკაში მასობრივი ტურიზმის განვითარებისათვის ბევრი რამ გააკეთა. ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში შეიქმნა ტურისტული კლუბები. დღეისათვის რესპუბლიკაში შექმნილია 75 ასეთი კლუბი. მომზადდა ტურიზმის 3.040 ინსტრუქტორი, მსაჯი, ორგანიზატორი და ლაშქრობის ხელმძღვანელი.

ორგანიზაცია გაუკეთდა საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან და დოსაფთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის 16.000 ჭაბუკისა და ქალიშვილის მოგზაურობას საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში. მათ იქიდან ჩამოიტანეს რელიკვიები და ექსპონატები, რის ბაზაზეც შეიქმნა ახალი მუზეუმები, გამოფენები, საბრძოლო დიდების კუთხეები. ავტომოტოველოტურის ტუ ლ მ ა სექციამ მოაწყო მოტოველოლაშქრობა ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ადგილებში. ციდი ბელადის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა სამი შორეული მრავალდღიანი ექსკურსია და 26 ექსკურსია ადგილობრივი მატარებლებით.

თბილისის 37-ე საშუალო სკოლის ტურისტულმა ჯგუფმა „აზიმუტმა" მოაწყო ლაშქრობა ლეგენდარული XI არმიის საბრძოლო დიდების გზებზე. ამ ჯგუფმა ღირსშესანიშნავი მასალების შეგროვებისა და კარგი გამოფენის მოწყობისათვის საკავშირო კონკურსში პირველი ადგილი დაიკავა.

ფართოდ დაინერგა ჯანმრთელობის მატარებელი, რომლითაც თბილისელი მშრომლები შაბათ-კვირაობით მიემგზავრებიან შავი ზღვის სანაპიროზე, „მეგობრობის მატარებლებით" კი ბაქოსა და ერევანში. დიდი მოწონება დაიმსახურა რესპუბლიკის მშრომელებში რუმინეთსა და ბულგარეთში მოგზაურობამ კომფორტაბელური თბომავლებით. 4 ტურისტული რეისით 1.700 მშრომელმა იმოგზაურა.

შარშან რესპუბლიკაში მუშაობდა 35 ტურისტული ბაზა და ლაშქრობისათვის 7.875 ადგილით, 3 სამოგზაურო-საექსკურსიო და 8 საექსკურსიო ბიურო. აღნიშნული ტურისტული ორგანიზაციები ემსახურებოდნენ 45 საკავშირო და ადგილობრივ მარშრუტს და მომსახურება გაუწიეს 195.000 გეგმიან და თვითმოქმედ ტურისტს.

მწყობრში ჩადგა ტურისტული ბაზის 280-ადგილიანი კომპლექსები თელავში და ბაკურიანში, აშენდა კომფორტაბელური საძილე კორპუსები მწვანე კონცხზე, სინოპში, ახალ ათონში.

ამჟამად მიმდინარეობს მშენებლობა 16 ტურისტული სასტუმროსი — სოხუმში, ქუთაისში, ყაზბეგში, ფასანაურში, ბაკურიანში, ვარძიაში, სიღნაღში და სხვაგან. ამასთანავე, — განაგრძო საუბარი ი. ღარიბაშვილმა, — ჩვენმა საბჭომ ხელი მოჰკიდა საბაგირო გზების მშენებლობას. პირველი რიგის სამუშაოები წარმოებს ყაზბეგიდან სამების ეკლესიამდე, მეორე და მესამე რიგის სამუშაოები შესრულდება გერგეტის მყინვარამდე და შემდეგ მაღალმთიან მეტეოსადგურამდე. თუ წინათ ეს ადგილები მარტო ალპინისტებისათვის იყო მისაწვდომი, მომავალში ჩვენი მთების სილამაზით და სიდიადით ათასობით ტურისტი დატკბება.

საინტერესო სამუშაოები მიმდინარეობს ახალ ათონში ანაკოპიის კარსტული გამოქვაბულის კეთილმოსაწყობად. აშენდება საბაგირო გზა ივერიის მთამდე. კეთილმოწყობილი გახდება ქუთაისის მახლობლად მდებარე სათაფლიის უნიკალური გამოქვაბული. მთავრდება საპროექტო სამუშაოები და შევუდგებით საბაგირო გზის მშენებლობას მცხეთიდან ჯვარის მონასტრამდე, რომელიც გაგრძელდება ზედაზენამდე, შემდეგ კი ზედაზნიდან საგურამოში ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმამდე. საბაგირო გზა აშენდება აგრეთვე ფასანაურის ახალი ტურისტული სასტუმროს ცენტრიდან ხანდოს მთაზე და სოხუმის ზღვისპირეთიდან პლატომდე.

1969 წელს მწყობრში ჩადგება ახალი ტურისტული ბაზები, რომლებიც მოემსახურებიან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებიდან და უცხოეთიდან ჩამოსულ 200 ათასამდე ტურისტს. ტურისტულ ლაშქრობებსა და მასობრივ ექსკურსიებში მონაწილეობას მიიღებს მრავალი ათასი. მოეწყობა შორი მიმოსვლის 11 ტურისტული მატარებელი, მათ შორის სამი — ლენინურ ადგილებში.

საქართველოს ტურიზმის რესპუბლიკურმა საბჭომ შეადგინა ტურიზმის განვითარების 1971-1975 წლების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს ულამაზეს ადგილებში ტურისტული ბაზების, ტურისტული სასტუმროების, კემპინგების დიდი კომპლექსების მშენებლობას.

ტურიზმი მშრომელთა დასვენების შესანიშნავი საშუალებაა. რაც დრო გადის, მით უფრო ფართოვდება, მტკიცედ იკიდებს ფეხს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებში აქტიური დასვენების ეს ყველაზე მასობრივი საშუალება. ჩვენი ვალია კიდევ უფრო საინტერესო და მიმზიდველი გავხადოთ ტურიზმი.



# ნეფე-დედოფალი

## ნანა ბოტკოველის ნამუშევართა გამოფენაზე

[illegible]

არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი ბრინჯაოს ხანის ბალთაზე გამოსახული ბრილის მოტივზე აქვს გაკეთებული.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ გამოფენაზე წარმოდგენილ ორნამენტირებულ ნამუშევრებში, დოქი იქნება ეს თუ სახილე, ფიალა თუ ხელადა, სტარბორის მჯის, ხარ-ირემის, ვერძის გამოსახულებანი, ესენი მხატვრის კულტს წარმოადგენს.

გატაცება ასეთი შინაარსის ორნამენტებით აიხსნება ძველი ქართული კერამიკული მასალის შესწავლით. მათ მხატვარი ქალი პოულობს არქეოლოგიური გათხრების დროს. ნანა ხომ შეთავსებით მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის განყოფილებაში.

არქეოლოგიური მასალა ეხმარება მხატვარს უძველესი ფორმების გამოყენებით შექმნას თავისებური სტილის თანამედროვე კერამიკული ნამუშევრები. ასეთია გამოფენაზე გამოტანილი ამფორისებრი „ირმულა", სალუდე, ფეხიანი ფიალები და სხვ.

განსაკუთრებით იტაცებს ნანას ხევსურული ორნამენტები. ამ მხრივ აღსანიშნავია დოქი — ხევსური პატარძალი თავისი ყელსაბამით, რომელსაც ვერცხლის ჭიქური აქვს. გადავლებული, დეკორაციული თეფში „ხევსური გოგონა", ხევსურულ მოტივზე ორნამენტირებული დოქი, ხევსურული მძივები. გამოფენაზე ექსპონირებულია ტექნიკურად მრავალფეროვნად დამუშავებული ყელსაბამები.

მხატვარი ქალი თავის შემოქმედებაში ფართო ადგილს უთმობს რუსთაველის თემას. ასეთებია დოქი ორნამენტირებული თამარის გამოსახულებით, „თამარ ქალი", სასმისები „ვეფხისტყაოსნის" აფორიზმებით და სხვა.

ნანა ბოტკოველის ნამუშევრების გამოფენას მაღალი შეფასება მისცა მრავალმა დამთვალიერებელმა. ამას მოწმობს გამოფენის შთაბეჭდილების წიგნში მათი მადლობის გამომხატველი სტრიქონები.

ვუსურვოთ მხატვარ ქალს შემდგომი შემოქმედებითი წარმატება.

**ლარისა ხუბულური.**







სურათებზე: ზემოთ მარცხნივ — ნანა ბოტკოველი. გამოფენის ექსპონატები: ზემოთ მარჯვნივ — „მარანი"; ქვემოთ მარჯვნივ — ნეფე-დედოფალი; ლუდის სერვიზი.



# ანგარიშია 7:4

## მატჩები მსოფლიოს პირველობაზე

მოსკოვი. 14 მაისი (ტელეფონით სპეც. კორ.). უნდა გამოგიტყდეთ, რომ მე მეტისმეტად მაინტერესებს ნონა გაფრინდაშვილა კუშნირის მატჩის დებიუტები. ალა კუშნირი ყველა პარტიაში ინგლისურ დასაწყისს იყენებს. ამის საპასუხოდ მსოფლიოს ჩემპიონმა მესამე პარტიიდან მოყოლებული მიმართა ეგრეთწოდებულ ახალ ინდურ დაცვას. პარტიის მსვლელობამ გვიჩვენა, რომ შავები სრულიად დაუბრკოლებლად ავითარებენ ფიგურას და ხშირად თვითონ ეუფლებიან ინიციატივას. ამიტომ, როდესაც მეთერთმეტე პარტიისათვის ვემზადებოდით, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ კუშნირი ბოლოს და ბოლოს ხელს აიღებდა ინგლისურ დასაწყისზე და რომელიმე სხვა დებიუტს მიმართავდა, რათა ქულათა სხვაობის შემცირებისათვის ებრძოლა. მაგრამ აი დაიწყო მეთერთმეტე პარტია, და პრეტენდენტმა ისევ ინგლისური დასაწყისი აირჩია. იგი თავისი სადებიუტო შეხვედრის ერთგული დარჩა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ადრინდელი პარტიებისაგან განსხვავებით ნონამ ახლებურად ითამაშა. მან არ დაუშვა თეთრების ცენტრალური პაიკის სვლა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა მეცხრე პარტიაში. მსოფლიოს ჩემპიონმა ამჯერად აქ საერთაშორისო ოსტატ ბ. გურგენიძის მანევრი გამოიყენა, რომელიც ლაზიერის ფრთაზე კუს გადაყვანასთან არის დაკავშირებული, თან მეტოქეს ლაზიერების გაცვლა შესთავაზა. ეტყობა, კუშნირს თავი უნდა შეეკავებინა ლაზიერების გაცვლისაგან. რადგან მას ხომ მხოლოდ მოგებაზე თამაში აძლევდა ხელს. ლაზიერების გაცვლის შემდეგ კი თამაში გადავიდა ენდშპილში, სადაც ნონა გაფრინდაშვილს რამდენადმე უკეთესი შესაძლებლობები ჰქონდა.

საინტერესოა ერთი ამბავი: ამ მატჩზე ადრეც იყო შემთხვევა, როცა მდგომარეობა გართულდა, მაგრამ მეტოქენი მაინც შეუპოვრად განაგრძობდნენ ბრძოლას. ისინი, თვით მეტად წუნარ პოზიციაშიც კი, ნახულობდნენ ბრძოლის გამწვავების შესაძლებლობებს. ასე მოხდა ამჯერადაც. მეტოქენი ყოველგვარ შესაძლებლობებს იყენებდნენ, რათა გაემწვავებინათ ბრძოლა. გულდასმით ფიქრობდნენ თვითეულ სვლაზე. ნონას მაინც ნაკლები დრო ჰქონდა დახარჯული, ვიდრე მის მეტოქეს.

შავების მეთექვსმეტე სვლა არაზუსტი იყო. ამის ნაცვლად საჭირო იყო პაიკის წინსვლა ცენტრში, დაახლოებით თანაბარი შანსებით. არც თეთრების მეჩვიდმეტე სვლა აღმოჩნდა ზუსტი. ბრძოლა თანდათან გამწვავდა და უველაფერი მოახლოებულმა ცაიტნოტმა გადაწყვიტა. მეტოქეებმა, რომლებიც დროის დიდ ნაკლებობას განიცდიდნენ, აღარ მოისურვეს ბრძოლის გაგრძელება და ოცდამეცხრე სვლაზე, ამ მეტად საინტერესო პარტიაში, ყაიმი აღინიშნა. თუმცა ზოგ სპეციალისტს მიაჩნდა, რომ პრეტენდენტი, ცოტა არ იყოს, აჩქარდა და შეეძლო მოგებაზე თამაში, მაგრამ რაიმე გარკვეული უპირატესობა მას არ ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში პრეტენდენტს შეეძლო გაეგრძელებინა ბრძოლა.

პრეს-ცენტრში ზოგმა სპეციალისტმა გამოთქვა აზრი, რომ კუშნირს უკვე აღარ აქვს ბრძოლის გაგრძელების რაიმე იმედი, რადგან ნონა გაფრინდაშვილისათვის დარჩენილი ხუთი პარტიიდან სრულიად საკმარისია ერთი ქულის მოგროვებაც კი თავისი წოდების შესანარჩუნებლად.

მატჩის ანგარიშია 7:4 მსოფლიოს ჩემპიონის სასარგებლოდ. მორიგი მე-12 პარტია გაიმართება 15 მაისს.

**ი. ნეი,**
საერთაშორისო ოსტატი.

### მეთერთმეტე პარტია

**ა. კუშნირი — ნ. გაფრინდაშვილი**

ინგლისური დასაწყისი

1. c4 c5 2. მf3 მf6 3. მc3 e6 4. g3 b6 5. კg2 კb7 6. 0—0 კe7 7. d4 cd 8. ლ:d4 მc6 9. ლf4 0—0 10. ეd1 ლb8 11. ლ:b8 ეa:b8 12. კf4 ეbc8 13. კd6 კ:d6 14. ე:d6 მe7 15. b3 მf5 16. ეd2 a6 17. a4 კa8 18. მg5 კ:g2 19. მე:g2 d5 20. e4 h6 21. მ:f7 d4 22. მd1 მ:e4 23. ეe2 მc5 24. მe5 მ:b3 25. ეb1 მc5 26. ე:b6 მe7 27. a5 მეh7 28. მb2 ეf6 29. ეd2 და ყაიმი.

# პეტროსიანი თუ სპასკი?

**მსოფლიოს** პირველობაზე ტ. პეტროსიანისა და ბ. სპასკის საჭადრაკო მატჩის პირველი ნახევრის უკანასკნელი, მე-12 პარტია გუშინ შედგა მოსკოვის ესტრადის თეატრში. თეთრებით თამაშობდა მსოფლიოს ჩემპიონი. პრეტენდენტმა კვლავ ტარაშის დაცვას მიმართა და დებიუტიდან თანაბარი პოზიცია მიიღო. პარტია დაუმთავრებელი დარჩა. მდგომარეობა თანაბარია. გადადებული პარტიის დამთავრება მოხდება დღეს.

# ლარსენი კვლავ ლიდერია

**ბიუხუმი** (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) გრძელდება საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც კვლავ ლიდერობს დანიელი ლარსენი. თორმეტი ტურის შემდეგ მას 9 ქულა აქვს. მეორე შედეგი რვა-რვა ქულით აქვს ორ მონაწილეს — სსრ კავშირის ჩემპიონატის მეორე პრიზიორს ზაიცევსა და გერუსილს (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა). მეორე საბჭოთა გროსმაისტერი, რომელიც ამ შეჯიბრებაში გამოდის, სსრ კავშირის ჩემპიონი პოლუგაევსკი ჯერჯერობით მეოთხე ადგილზეა 7,5 ქულით. ორი უკანასკნელი დღის ყველაზე საინტერესო შეხვედრა იყო ლარსენისა და პოლუგაევსკის პარტია მეთერთმეტე ტურში. დაძაბული ბრძოლის შედეგად, რომელმაც 4 საათსა და 47 წუთს გასტანა, გაიმარჯვა დანიელმა. (საკდესი).

# ფრე ტაშკენტში

ფეხბურთი

**მრავალი** მაყურებელი ჰყავდა გუშინ ტაშკენტში ადგილობრივი „პახტაკორისა" და მეორე ქვეჯგუფის ლიდერის თბილისის „დინამოს" მეორე ტურის მატჩს ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე.

ბრძოლა დინამოელთა უპირატესობით წარიმართა, მაგრამ ჩინებულად ითამაშეს მცველებმა და პირველ რიგში „პახტაკორის" მეკარე ლიუბარცევმა. 35-ე წუთზე კარგი კომბინაციის შემდეგ გავაშელმა ძლიერი დარტყმით ბურთი კარის ზედა კუთხეში გაგზავნა, მაგრამ მეკარემ მოიგერია იგი. ამის შემდეგ ლიუბარცევმა არაერთხელ იხსნა კარი მეტრეველის, ხურცილავასა და კუტივაძის დარტყმებისაგან.

იყო ერთი მომენტი, როდესაც წინ გაიჭრა კრასნიცკი და ურუშაძის კარს საფრთხე ელოდა, მაგრამ აქ ცხოვრებოვმა ისახელა თავი. მეორე ტაიმის უკანასკნელ წუთებში ცოტა ჯაფა როდი დაადგათ ტაშკენტელ მცველებს, კარი კი აუღებელი დარჩა.

საბრძოლო ფრე — 0:0.

დინამოელთა შემადგენლობაში იყვნენ — ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი, კუტივაძე, ილიაძე, გავაშელი, მეტრეველი, ნოდია, გაჩეჩილაძე.

დუბლიორთა მატჩში გაიმარჯვეს დინამოელებმა 2:1.

# „კაირატი"—„ტორპედო"

**ქუთაისის** „ტორპედოს" ფეხბურთელთა კოლექტივი ალმა-ატას ეწვია და გუშინ მეორე ტურის შეხვედრა „კაირატთან" ჰქონდა.

მატჩი ტემპიანი და შეუპოვარი გამოდგა. პირველი წუთები ორმხრივი იერიშებით აღინიშნა. მე-17 წუთზე მსაჯმა ტორპედოელთა კართან თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა დანიშნა. „კაირატის" ცენტრფორვარდმა აბგოლცმა კარგად გამოიყენა ეს შესაძლებლობა და ანგარიში გახსნა.

მეორე ნახევარში იგრძნობოდა ქუთაისელთა უპირატესობა, მაგრამ ერთ-ერთი კონტრშეტევის სეგიზბაევმა ანგარიში გააორკეცა. ბოლო წუთებში ინიციატივას სტუმრები ფლობდნენ. ალმა-ატელები იძულებული იყვნენ დაცვაზე გადასულიყვნენ და ანგარიში შეინარჩუნეს. „კაირატმა" გაიმარჯვა 2:0.

ქუთაისის „ტორპედოს" შემადგენლობაში იყვნენ — გრძელიშვილი, ჩხაიძე, ებრალიძე, შერგელაშვილი, ჰბზიანიძე, ოქროპირაშვილი, ერქომაიშვილი, ასიტაშვილი, ვეკუა, ჭიქავა, ხერხაძე.

დუბლიორთა მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

„კომუნისტის" სპორტი

# მატჩები და შედეგები

**14 აპრილი** დიდი ფეხბურთის დღე იყო. გარდა ტაშკენტისა და ალმა-ატისა მატჩები შედგა კიდევ ხუთ ქალაქში.

**კიევის** „დინამოს" მორიგი შეხვედრა საკუთარ მოედანზე ოდესის „ჩერნომორეცთან" ჰქონდა და გაიმარჯვა ანგარიშით 1:0.

**ბაქოში** თამაშობდნენ „ნეფტჩი" და დონის როსტოვის სკა. მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ — ფრე.

**ერევნის** „არარატისა" და ლუგანსკის „ზარიას" შეხვედრის შედეგია 1:0 ერევნელთა სასარგებლოდ.

**ლუჟნიკში** ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „ტორპედოსა" და დონეცკის „შახტიორის" გუნდები. მწვავე ბრძოლა დამთავრდა ფრედ—0:0.

**ლენინგრადის** „ზენიტი" მინსკს ეწვია და აქ პაექრობა ჰქონდა ადგილობრივ „დინამოსთან". შეჯიბრება დამთავრდა მინსკის დინამოელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

# „ა" კლასის მეორე ჯგუფში

**გუშინ** თბილისში, ბათუმსა და ტყიბულში გაიმართა „ა" კლასის მეორე ჯგუფის მეოთხე ქვეჯგუფის გუნდების მატჩები ფეხბურთში საკავშირო პირველობაზე.

**თბილისის** „ლოკომოტივის" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივისა" და გროდნოს „ნემანის" გუნდები. მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა გოლმა. გაიმარჯვეს თბილისელებმა.

**ბათუმში** ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამოსა" და რიგის „დაუგავას" გუნდები. მეტოქეებმა თითო ბურთი გაიტანეს და მატჩი ფრედ დაამთავრეს.

**ტყიბულში** პაექრობა ჰქონდათ ვილნიუსის „ჟალგირისისა" და ტყიბულის „მეშახტის" გუნდებს. წარმატება მასპინძლებს ხვდათ ანგარიშით 1:0.

# კროსი რუსთავში

**რუსთავში** გაიმართა რესპუბლიკის უძლიერეს მოტომრბოლელთა კროსი, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი.

ქალთა შორის 175 კუბური სანტიმეტრის მანქანებით რბოლაში გაიმარჯვა ე. გოლოვანოვამ. ამავე კლასის მანქანებით ვაჟთა შორის ასპარეზობაში პირველი იყო ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის წარმომადგენელი ზ. შალიკიანი.

350 კუბიკური სანტიმეტრის მანქანებით პაექრობაში გაიმარჯვა ა. კლდიაშვილმა.

# ცსკა-ს მტკიცე პოზიცია აქვს

**კალათბურთელ** ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრებში, გაიმართა 13 მაისს, თბილისის დინამოელები კიევს ეწვივნენ და აქ პაექრობა ჰქონდათ ადგილობრივი არმიის სასპორტო კლუბის გუნდთან. მასპინძლები ამჯერადაც ძლიერობდნენ და გაიმარჯვეს 25 ქულის სხვაობით 94:69.

ლენინგრადის „სპარტაკისა" და ალმა-ატის „ლოკომოტივის" შეხვედრაში წარმატება „სპარტაკელებს" ხვდათ 102:72. კიევის „სტროიტელმა" რიგაში მინიმალური ანგარიშით 57:56 მოუგო ვეფ-ს.

ლიდერია ცსკა, რომელსაც 30 ქულა აქვს.

# მეგობრობის კონცერტი

თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრში უჩვეულო კონცერტი იყო. გამოდიოდნენ ბაქოს მეოთხე და თბილისის ფოცხვერაშვილის სახელობის მეშვიდე მუსიკალური სკოლის მოსწავლეები. კონცერტი მიეძღვნა ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

ამ ორ სასწავლებელს შორის მეგობრობა უკვე ერთი წელია დამყარდა. ბაქოელები თბილისელ მოსწავლეთა და მასწავლებელთა სასურველი სტუმრები არიან. მათ დაათვალიერეს ფოცხვერაშვილის სახელობის მეშვიდე მუსიკალური სასწავლებელი, თბილისის ღირსშესანიშნაობანი, ხელოვნებისა და ისტორიის სახელმწიფო მუზეუმები, სამხატვრო გამოფენა, ნახეს ბალეტი „გორდა".

რუსთაველის საკონცერტო დარბაზში კონცერტის წინ სტუმრებს მიესალმა მეშვიდე მუსიკალური სკოლის დირექტორი შ. კოლიაშვილი, პედაგოგი ნ. სილაგაძე, ბაქოელ კოლეგებს აზერბაიჯანულად სიტყვა უთხრა მუსიკის მასწავლებელმა მ. გერმესაშვილმა.

მასპინძლებს მოწვევისათვის მადლობა გადაუხადა ბაქოს მუსიკალური სკოლის დირექტორმა ალ. ვლადიმიროვამ.

სტუმრებს საჩუქრად გადასცეს თანამედროვე ქართული სანოტო ლიტერატურა. იგი ქართულ მუსიკას უკეთ გააცნობს მოძმე აზერბაიჯანის ნორჩ მუსიკოსებს.

**ზ. რცხილაძე.**





სურათებზე: მარცხნივ — ნანა გოგლიძე, მარჯვნივ — ისრაფილ საფარალიევი. ფოტო ა. კაპკასიძისა.

# რამდენიმე სტრიქონით

◆ **გრძელდება მშვიდობის ველორბოლა. 13 მაისს შედგა მეორე ეტაპი ვარშავა-ლოძის მარშრუტით. დისტანცია 158 კილომეტრი იყო. წარმატება პოლონეთის გუნდის წარმომადგენელს რ. შურკოვსკის ხვდა. გამარჯვებულის შედეგია ბონიფიკაციის ჩათვლით 3 საათი, 40 წუთი და 32 წამი. ორი ეტაპის შემდეგ რბოლის ლიდერი გახდა რ. შურკოვსკი. გუნდურ ასპარეზობაში წინ არიან პოლონელები.**

◆ **გუშინ** დონის როსტოვში დაიწყო ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება ძალოსნობაში. მასში სხვებთან ერთად მონაწილეობენ მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონები, პრიზიორები. თვითეულ წონით კატეგორიაში გამოვა 12 ძალოსანი. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ოლიმპიური ასპარეზობის ვერცხლის პრიზიორის დ. შანიძისა და სსრ კავშირის ჩემპიონის რ. ქარიმოვის პაექრობა. პირველ დღეს უმჩატეს წონაში ვ. კრიშიშინმა აჰწია 111 კილოგრამი და სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა. ჩემპიონატი 18 მაისამდე გაგრძელდება.

# რ ა დ ი ო

**16 მაისი**

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 06.50 — „სოფლის დილა", 07.30 — დილის კონცერტი, 08.30 — პოპულარული საოპერო მუსიკა, 11.05 — ი. შტრაუსი. ნაწყვეტები ოპერეტებიდან, 11.45 — შ. აზმაიფარაშვილი. სიმფონიური პოემა „ყვარლის მთებს", 12.10 — საუბარი „ვ. ი. ლენინის კლასიკური ფილოსოფიური ნაშრომი" (წიგნის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" გამოქვეყნების 60 წლისთავის გამო), 12.25 — საბჭოთა კომპოზიტორების კამერული ნაწარმოებები ხელოვნების ოსტატთა შესრულებით, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.40 — მსუბუქი მუსიკა, 14.00 — ვ. რუბინი. ორატორია „ნიავქარული სიმღერები" (მოსკოვი), 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.35 — მოსწავლეთათვის. საუბარი „ლენინური ორწლედის გზები", 18.10 — საესტრადო კონცერტი, 18.45 — მიჩიგანის უნივერსიტეტის სასულე ორკესტრის კონცერტი, 19.00 — რადიონარკვევი „მადლი შრომისა", 19.15 — ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები ე. მირიანაშვილის შესრულებით, 19.40 — საუბარი. „ვ. ი. ლენინი კომუნისტური და ბურჟუაზიული იდეოლოგიების შეურიგებლობის შესახებ" (მოსკოვი), 20.30 — რადიოჟურნალი „ჯანმრთელობა", 21.00 — „ძილისპირული", 21.10 — კონცერტი თქვენი თხოვნით, მეგობრებო!", 22.00 — საუბარი „პუშკინი და საქართველო", 22.50 — ნ. გაბუნია. სონატა ფორტეპიანოსათვის, 23.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 23.30 — პ. ჩაიკოვსკი. სიმფონიური ფანტაზია „ფრანჩესკა და რიმინი", 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

# ტელევიზია

**15 მაისი**

18.05 — ახალი ამბები, 18.10 — ქართული მხატვრული ფილმი „მაცი ხვიტია", 19.40 — განცხადებები და რეკლამა, 19.50 — კინონარკვევი, 20.00 — ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი — „შეხვედრა ორბიტაზე". სატელევიზიო სამეცნიერო-პოპულარული ფილმი პრემიერა (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.30 — მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისათვის, 21.35 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 22.00 — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ძალოსნობაში (გადმოცემა დონის როსტოვიდან), 22.30 — კონცერტი, 23.30 — მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისათვის, 23.40 — კინონარკვევი, 24.00 — მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისათვის (გადმოცემა მოსკოვიდან).

# რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

# თეატრები

**15 მაისი**

**რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ხანუმა, **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — მთვარის მოტაცება, **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — სიმღერა თბილისზე, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — სათაგური (№ 36 აბონ. დილის 10 ს. და 30 წ.). დონ სეზარ დე ბაზანი (№ 17 აბონ. საღ. 6 ს.), **ფილარმონიის საზაფხულო** — ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ორერას" კონცერტი.

# კ ი ნ ო

**15 მაისი**

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო), საქართველო (მწვანე დარბაზი), სპარტაკი, ისანი (საზამთრო), გაზაფხული, კოლხიდა (საზამთრო), სპორტი, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო) — **სიყვარული ქაშმირში** (I, II სერია). ოქტომბერი, ყაზბეგი (პირველი დარბაზი), სპარტაკი — **ჩვენ განვქორწინდით**, ფილარმონიის ბაღი — **თავგადასავალთა მაძიებელნი**, ოქტომბერი — **საშიში თავგადასავლები** (I, II სერია), საქართველო (წითელი დარბაზი), თანამგზავრი — **მოუხელთებელთა ახალი თავგადასავლები**, საქართველო (საზაფხულო) — ფურავუშკა, ისანი (საზაფხულო), 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), ვაკის პარკი — **კიევის მამართულებით**, კოლხიდა (საზაფხ.) — **ფერისცვალება**.

# გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას!

გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადოთ ყველა იმ დაწესებულებას, ორგანიზაციას და პირთ, რომლებმაც გაიზიარეს ჩვენი მწუხარება ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის, საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომის, სოციალისტური შრომის გმირის ვახტანგ ალექსის-ძე ჭეიშვილის გარდაცვალების გამო.

**ვ. ჭეიშვილის ოჯახი.**

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი | თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-63, 99-03-09, პ/მგ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის —93-22-98, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-68, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, განცხადებების — 93-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 03263 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, [illegible]